106

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—48.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-დღესასწაულ დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—88.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ ორ საათ.

№ 51 (906) კვირა, 2 მარტი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 51 (906)

დ ღ ი უ რ ი

— საბერძნეთის პრესა მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას.
— მარტის დამლევს მოელიან მოლაპარაკების დაწყებას იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის.
— უნგრეთი ემზადება საბჭოთა კავშირის ცნობისათვის.
— ჩეხო სლოვაკიის პრესა მოითხოვს რუს. მონარქისტების განდევნას ჩეხო-სლოვაკიიდან.
— გაიხსნა სკანდინავიის სახელმწიფოთა კონფერენცია.
— ანგორაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. სურიცი.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმი

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს ა.—წ. 3 მარტს საღამოს 6 საათზე ნაძალადევში, პლეხანოვის სახელობის თეატრში

დანიშნულია ტფილისის საბჭოს მორიგი სხდომა:

დღის წესრიგი:

1) მოხსენება ზაჰესკომის შესახებ.
2) მოხსენება კომუნალური წარმოებების მდგომარეობის შესახებ.
3) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

921—2—2 ნის. პრეზიდიუმი.

სამშაბათს, 4 მარტს, საღამოს 7 საათზე,

სახელმწიფო ოპერის თეატრში

სეით დევდარიანი

გააკეთებს მოხსენებას ქართულად შემდეგ თემაზე

„საბჭოთა სისტემა და საქართველოს დამოუკიდებლობა"

შინაარსი:

1) როგორ იდგა საკითხი?
2) ქართული მენშევიზმი და საქართველოს სოც.-დემოკრატია
3) რა შეიცვალა და ვინ გამოიცვალა?
4) ეხლანდელი იდეოლოგია საქართველოს სოც.-დემოკრატიის.
   ა) საზღვარგარეთის ბიუროს მიმართვა საქართველოს მუშათა და გლეხთა მიმართ.
   ბ) ნ. ჟორდანიას უკანასკნელი წიგნაკი: „ბრძოლის საკითხები"
   გ) გრ. ლორთქიფანიძის უკანასკნელი წერილი.
   დ) ანდრო ჰიაბრიშვილის წერილი ტროცკისადმი.
   ე) საქართ. სოც.-დემ. პარტიის მეორე არალეგალური კონფერენცია.
5) მარქსიზმი და ქართული მენშევიზმი ეროვნულ საკითხში.
6) საერთაშორისო პირობები და საქართველოს დამოუკიდებლობა
7) დამოუკიდებლობის ფორმა და შინაარსი.
8) საქართველოს დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირში.
9) ევროპა და საბჭოთა კავშირი.
10) დემოკრატია და საბჭოთა სისტემა.
11) საბჭოთა სისტემა და მუშათა კლასის დიქტატურა.
12) მეორე და მესამე ინტერნაციონალი.
13) დიქტატურა და დემოკრატიზმი.
14) საქართველოს გზა ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ.
15) ყოფილი მენშევიკების ყრილობა და მენშევიკების ბედი საქართველოში.
16) ჩვენი დამოკიდებულება კომუნისტურ პარტიასთან.
17) რა ურჩევნია საქართველოს?

მოხსენების შემდეგ კამათი.

ბილეთები გაიყიდება თეატრის სალაროში ყოველ დღე 11—3 საათამდე და საღამოს 7 საათიდან.

ფასები 10 და 75 კაპ. 2—1

რ. კ. პ. მეცამეტე ყრილობისათვის

ყველა პარტიულ ორგანიზაციებს.

მოსკოვი. 1 მარტი. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაადგინა მოიწვიოს რ. კ. პ. მორიგი, მეცამეტე ყრილობა მაისის შუა რიცხვებში. ყრილობის გახსნის დღე და წარმომადგენლობის ნორმა დამატებით იქნება გამოცხადებული.

ც. კ. მდივანი მოლოტოვი

საფინანსო კითხვები

7. ადგილობრივ შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა

მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა შედგენილი უნდა იქნეს ცხრა თვის ვადით—1924 წ. პირველ იანვრიდან ოცდაათ სექტემბრამდე; ყველა აღრიცხვანი და მათი დანართები უნდა იყოს გამოანგარიშებული მხოლოდ ჩერვონულ მანეთებით და კაპეიკებით. აღრიცხვა იმ ფორმებში უნდა ჩამოყალიბდეს, რომელსაც ალმასკომებს საქართველოს ცენტრალური საფინანსო უწყება მიაწოდებს. შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისათვის (საბიუჯეტო) მიღებულ კლასიფიკაციაში „ცვლილების შეტანა ან დამატება პარაგრაფებში და მუხლებში დაუშვებელია. თუ ალმასკომის სათანადო განყოფილებას აქვს რაიმე წარმოება და მეურნეობა, შემოსავლის აღრიცხვის მეორესა და გასავლის მეოთხე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე თავებში აღნიშნულ წარმოებათა გარდა, მათი შემოსავალ-გასავალი შეიძლება დამატებით შეტანილ იქმნას იმავე თავების სათანადო მუხლებში, რისთვისაც კლასიფიკაციაში განზრახ არის დატოვებული თავისუფალი ადგილი" (ინსტრუქცია 1924 წ. ადგილობრივ ბიუჯეტის შედგენისა და განხილვის შესახებ, მუხ. 13).

შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის კლასიფიკაცია ყველა სამაზრო ალმასკომებს ურიგდება და უკანასკნელნი დამტკიცებულ ფორმებს საბიუჯეტო ცნობებით შეავსებენ. დიდი მნიშვნელობა აქვს შემოსავლის და გასავლის სისწორით გამოანგარიშებას, ცნობების კანონიერად შეჯგუფებას და თავ-თავის ალაგას მათ შეტანას, ამიტომ ბიუჯეტის შედგენის დროს ამ მოთხოვნილების დაცვით ციფრების დაჯგუფებას და მათ კანონიერად დანაწილებას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს. აი ამიტომ ინსტრუქცია დაწვრილებით არკვევს, თუ რა და როგორ უნდა იქნეს შეტანილი გასავლის და შემოსავლის აღრიცხვაში. ის მოითხოვს, რომ შემოსავლის და გასავლის აღრიცხვაში „თვითეული თანხა ისე სწორედ იყოს გამოანგარიშებული და დასაბუთებული, რომ მათი შემმოწმებელ ფინორგანოებს სრული შესაძლებლობა ჰქონდეთ ნათლად წარმოიდგინონ მთელი მიმდინარეობა აღრიცხვაში შეტანილ თანხებისა" (მუხ. 9).

შემოსავლის აღრიცხვა ისე, როგორც გასავლის, მოითხოვს დამადასტურებელ დანართებს და განმარტებითი ბარათს, რომელიც განმარტავს ამა თუ იმ შემოსავლის ან ხარჯის მომატებას ან შემცირებას რა საფუძველი აქვს და რა საეკონომიო-საფინანსო მოსაზრებაზე ეყრდნობა ეს მომატება ან შემცირება? ამნაირად კითხვის დასმა ალმასკომს ავალებს, რომ მისი ბიუჯეტის განმარტებითი ბარათი „შეიცავდეს ისეთს ცნობებს, რომელნიც საკმარისად ახასიათებენ მაზრის ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობას და გარკვევით გვაჩვენებენ ადგილობრივი სამეურნეო გეგმის ასრულების კონკრეტულ შესაძლებლობას" (მუხ. 10). ალმასკომის განმარტებითი ბარათი უნდა შეიცავდეს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის შესახებ ცნობებს, გასული წლის ფინანსიური მდგომარეობის დახასიათებას და სხვადასხვა შემოსავალში და გასავალში მომხდარ და მოსალოდნელ მომატების ან შემცირების ახსნას.

ხსენებულ ბარათში უსათუოდ უნდა იყოს შემოსავლის წყაროების და გასაწევი ხარჯების დახასიათება-დაფასება; უნდა იყოს გამორკვეული, თუ რამდენად შემოსავალი საიმედოა და გასავალი აუცილებელი. მოსალოდნელ შემოსავლის ბიუჯეტში გაზვიადებამ ალმასკომს დიდი ზიანი შეუძლია მოუტანოს: გაზვიადებული დადასტურებული ბიუჯეტი ისეთი საქმეების შესრულებას დააკისრებს ალმასკომს, რომელთა დაწყება მისთვის სავალდებულო იქნება და დაბოლოვება კი შეუძლებელი. ამნაირად ალმასკომის პრესტიჟი შეილახება და მატერიალურად ის დაზარალდება.

დღევანდელი მდგომარეობა ხარჯების გაწევაში ალმასკომებს უკიდურეს სიფრთხილეს და ხელმოჭერას უკარნახებს. თანამედროვე ფინანსიურ პირობებში ალმასკომმა მხოლოდ სრულიად აუცილებელი ხარჯები უნდა აწარმოვოს. რუსეთის ადგილობრივ ფინანსთა სამმართველო ამა წლის 25 იანვრის ცირკულიარში მოითხოვს, რომ ქონებათა ადგილობრივ ორგანოთა მიერ უშუალო ექსპლოატაცია განისაზღვროს ისეთ წამოწყებით, რომელნიც სავსებით სამიდოა და მოგებიანი. ასეთ სამეურნეო პოლიტიკას ალმასკომებს მათი ფინანსიური სისუსტე ავალებს.

დამოუკიდებლათ ამ განსაკუთრებულ მდგომარეობისა და მისგან გამომდინარე დღევანდელი საფინანსო-საეკონომიო პოლიტიკისა, ყოველ დროს და ყოველ პირობებში სავალდებულოა ყველა ხარჯების განმარტება და დასაბუთება; ამისათვის საჭიროა ხარჯთ-აღრიცხვას უსათუოდ დაერთოს: „ცნობა მუშა ხელის და იმ საგნებისა და მასალების ფასების შესახებ, რომელთა შეძენაც განზრახულია, ყოველგვარ კომუნალურ სამსახურის ნიხრი, მაზრის და ქალაქის ალმასკომის ყველა განყოფილებათა, დაწესებულებათა და წარმოებათა სქემა, თვითეულ დაწესებულების უმცირეს და დაწვრილებითი შტატები, ცნობა, თუ როდის და ვის მიერ არის დაწესებული და დამტკიცებული შტატები, პასუხისმგებელი და სპეც. თანამშრომელთა სია და თვითეულ თანამდებობის დეკემბრის ჯამაგირის რაოდენობა (მუხ. 37). ხარჯთაღრიცხვას ასეთი ცნობები თან უნდა მიჰყვებოდეს. ამას მოითხოვს ინსტრუქცია და დებულება და ასეთი მოთხოვნილება ბიუჯეტის ბუნებიდან გამომდინარეობს.

რა უნდა ჩაიწეროს შემოსავლის და გასავლის აღრიცხვაში?

როგორც გასულ საალრიცხვო წლის თავისუფალი ნაშთი, ისე ყოველგვარი კანონიერი საბიუჯეტო წელში მოსალოდნელი შემოსავალი—ერთის მხრით და შესაძლებელი და აუცილებელი ხარჯები—მეორეს მხრით შემოსავალ-გასავლის აღრიცხვაში უნდა იქნეს შეტანილი და დასაბუთებული.

მიმდინარე საბიუჯეტო წელს ნოტარიალური ნაშთების ღირებულება უნდა იქნეს გამოანგარიშებული 1923 წ. 31 დეკემბრის ბაზრის საშუალო ფასების მიხედვით; აგრეთვე შესაძენ საქონლის მასალების და ნაწარმოებთა ფასი უნდა ეთანხმებოდეს იმ მაზრის ნამდვილ ფასებს, სადაც ალმასკომი იძენს აღნიშნულ საგნებს და საფუძვლად აღებულ უნდა იქნეს მიმდინარე წლის 1—10 იანვრამდე არსებული ფასები (მუხ. 39).

შემოსავლის აღრიცხვაში ყველა ის თანხები (გადასახადები, გამოსაღებები და არა საგადასახადო ხასიათის) უნდა იქნეს შეტანილი, რომელნიც პირველ იანვრამდე უნდა შემოსულიყო და არ შემოვიდა, თუ ამ თანხების აღება საიმედოა, მაგრამ ამ თანხიდან არც ერთი კაპეიკი არ უნდა გამოიყოს „სპეციალურად გასულ საალრიცხვო პერიოდის დავალიანების დასაფარავად, არამედ უნდა ჩაირიცხოს ახალი საბიუჯეტო წლის საერთო წყაროებში" (მუხ. 15). ამავე წესით ვალად დარჩენილი ხარჯები გასავლის აღრიცხვაში უნდა შევიდეს.

დიდ გაუგებრობას ხშირად დოტაციის საკითხი იწვევს. დოტაცია მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში შეიძლება შემოსავლის აღრიცხვაში იქნეს შეტანილი. ინსტრუქცია გარკვევით ამბობს: „განსაზღვრული თანხა მიზნობრივ დოტაციის სახით შეიძლება შეტანილ იქნას შემოსავლის აღრიცხვაში მხოლოდ მაშინ, თუ ცენტრალურ დაწესებულების მიერ ნებადართულია ისეთ სამუშაოს ასრულება, რომელიც მოითხოვს სპეციალურ თანხას, როგორც, მაგალითად: აშენება ელექტრონის სადგურის, წყალსადენის, ტრამვაის და სხვა" (მუხ. 36). მაგრამ ამ შემთხვევაში „აღრიცხვას უნდა დაერთოს ტეხნიკური ხარჯთ-აღრიცხვა და მასალა, რომელიც ამ მუშაობის აუცილებლობას დაასაბუთებს; აგრეთვე აღრიცხვას უნდა დაერთოს ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულების დადგენილების ასლი, რომელიც მიმდინარე წლის ხსენებულ მუშაობის საჭიროებას ადასტურებს". ძველი ინსტრუქცია (მუხ. 44) დოტაციის შესახებ ამბობდა: სათანადო პარაგრაფში—„დოტაცია სახელმწიფო ხაზინის საშუალებიდან"—„აღნიშნული უნდა იყოს თანხა, რომლითაც იფარება ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, მაგრამ მის მიღების იმედი შეიძლება ჰქონდეს ალმასკომს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის ყველა წყარო ამოწურულია, ხარჯები კი შემცირებულია უკანასკნელ მინიმუმამდის და მასთანვე ნაჩვენებია მხოლოდ აუცილებელი ხარჯები და თუ ამ შემთხვევაშიაც ბიუჯეტი აჯუმლული არ არის უდეფიციტოთ".

ეს განმარტებები ბიუჯეტში დოტაციის შეტანის საკითხს სავსებით აშუქებს.

სამაზრო ალმასკომების გასულ წლის ბიუჯეტში ფონდის საკითხმა არა ნაკლები გაუგებრობა გამოიწვია, მაგრამ ამ კითხვის შესახებ ძველი და ახალი ინსტრუქცია ერთნაირად ცხად განმარტებას იძლევა. სათადარიგო ფონდში მხოლოდ თავისუფალი თანხა შეიძლება გადაირიცხოს, ე. ი. ამ ფონდში შეტანილ იქნეს ის თანხა, რომლითაც შემოსავალი გასავალს სჭარბობს.

ასეთია შემოსავალ-გასავლის აღრიცხვაში მთავარი მომენტები, რომელთაც ადგილობრივ ბიუჯეტის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

დ. თ.

ხანდით-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ

იაპონია ემზადება საბჭოთა კავშირის ცნობისათვის

„მოლაპარაკების განახლება საბჭოთა კავშირთან მოხდება მარტში—აპრილში"

ვლადივოსტოკი. 29 თებერვალი. ტოკიოს ერთ-ერთი გაზეთი საბჭოთა კავშირის და იაპონიის მოლაპარაკების შესახებ სწერს: „იაპონიის მინისტრთა კაბინეტის წევრების აზრით, ამჟამად საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა შეიცვალა და ადგილი აღარ უნდა ექნეს იაპონიის წინანდელ პრეტენზიებს. ინგლისმა და იტალიამ ყოველგვარი წინასწარი პირობის გარეშე იცნეს საბჭოთა კავშირი. ამიტომ ცხადია, რომ იაპონიას სარგებლობას მოუტანს მხოლოდ ურთიერთობის დაუყოვნებლივ განახლება იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის".

გაზეთის აზრით, მოლაპარაკების განახლება მოხდება მარტის დასასრულს—აპრილის დასაწყისში.

ჯერი უნგრეთზეა

ემზადებიან ცნობისათვის.

ვენა. 29 თებერვალი, უნგრეთის გაზეთი „აი უირაგ"-ი იტყობინება, რომ უნგრეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო ემზადება მოლაპარაკებისათვის საბჭოთა კავშირთან ცნობის საკითხის შესახებ და იმედი აქვს, რომ სამხრეთ-რუსეთის ბაზრები გაიღება უნგრეთის საქონლისათვის.

ურთიერთობა აღმოსავლეთთან

ოსმალეთი

აუცილებელია საბჭოთა კავშირის ცნობა ოსმალეთის მიერ.

რომი. 29 თებერვალი. სტამბოლიდან მიღებული ცნობით, რუსეთის დელეგაციის მეთაურმა ოსმალეთში პოტიომკინმა განაცხადა, რომ **საბჭოთა კავშირის ცნობა ოსმალეთის მიერ აუცილებელია და უნდა მოხდეს ახლო მომავალში.**

იტყობინებიან, რომ მომავალში მოსალოდნელია რუსეთის სავაჭრო მისიის ჩამოსვლა ეკონომიური ურთიერთობის აღსადგენად და განსავითარებლად ორთავე სახელმწიფოს შორის.

სპარსეთი

დიდი ინტერესი რუსეთის მანუფაქტურისადმი.

მოსკოვი. 29 თებერვალი. რუსეთის საელჩომ ისფაგანში მოითხოვა სრულიად რუსეთის სინდიკატის რეშტის განყოფილებისაგან საფეიქრო ნაწარმოებთა ნიმუშები, რადგანაც **ადგილობრივ ვაჭრებს სურთ ერთბაშად შეისყიდონ 800 შეკვრა.**

მოთხოვნილება ისფაგანიდან, რომელიც დიდათ დაშორებულია ჩვენი ბაზრიდან, მოწმობს იმას, რომ **სპარსეთის ვაჭრებს ძლიერ აინტერესებს ჩვენი საქონელი და სურთ შესწყვიტონ სავაჭრო ურთიერთობა ინგლისთან.**

ინგლისი.

რუსეთ-ინგლისის კონფერენციის გამო.

ლონდონი. 28 თებ. ტრედუნიონების კონგრესის თავმჯდომარე პერსელი შეეკითხა ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებს პარლამენტში, აქვს თუ არა ტრედუნიონების წარმომადგენლებს რუსეთ-ინგლისის კონფერენციაზე მონაწილეობის მიღების უფლება, თუ ასეთი უფლება მიეცემა კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა პონსონბიმ ამაზე უპასუხა, რომ რუსეთ-ინგლისის მოლაპარაკებაში არავითარი კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლები არ მიიღებენ მონაწილეობას.

საკითხი საბჭოთა კავშირისათვის სესხის მიცემის შესახებ.

ლონდონი. 28 თებერვალი. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ინგლისის მთავრობა მომავალ კონფერენციაზე განიხილავს საკითხს საბჭოთა კავშირისათვის სესხის მიცემის შესახებ. მთავრობა, როგორც სჩანს, ემხრობა სესხის მიცემას საბჭოთა კავშირისათვის.

ა ვ ს ტ რ ი ა

სრული დაკმაყოფილება

ვენა 29. თებერვალი. **საბჭოთა მთავრობისათვის ავსტრიის ნოტის გადაცემის და დიპლომატიური ურთიერთობის განახლების ცნობას სრული კმაყოფილებით შეხვდნენ ავსტრიის დიპლომატიური წრეები და პრესა.**

შ ვ ე ც ი ა.

მოითხოვენ სავაჭრო ხელშეკრულების დადებას საბჭოთა კავშირთან.

სტოკჰოლმი. 28 თებ. შვეციის გემების მეპატრონეების კავშირმა მიმართა ვაჭრობის მინისტრს მოთხოვნილებით, რათა დადოს სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან, რადგანაც ხელშეკრულების უქონლობამ გამოიწვია გემების მიმოსვლის შეწყვეტა შავი ზღვის ნავთსადგურებში.

ლ ა ტ ვ ი ა.

საკითხის მოგვარება რუსეთის პურის გაზიდვის შესახებ.

რიგა. 28 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი არალოვი, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი—იუზბაშევი, ლატვიის ფინანსთა მინისტრი კალნი და გზათა მინისტრი პაულუკი მიემგზავრებიან ვინდავაში, სადაც გაეცნობიან ნავთსადგურის და ელევატორის მუშაობას და მოაგვარებენ საკითხს ვინდავის საშუალებით საბჭოთა კავშირის პურის ტვირთების გატანის შესახებ.

პოლონეთი

სავაჭრო და სატრანზიტო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან.

მოსკოვი. 1 მარტი. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს პოლონეთის საგანგებო რწმუნებულმა მოსკოვში დაროვსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთის ეხლანდელი მშვიდობიანი პოლიტიკა ხელს უწყობს სრულ პოლიტიკურ და ეკონომიურ მშვიდობიანობის აღდგენას და საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტების და დავის ლიკვიდაციას. პოლონეთის მთავრობა დაუყოვნებლივ იწყებს სავაჭრო და სატრანზიტო ხელშეკრულების დადებას საბჭოთა კავშირთან.

დაროვსკი პირადათ ხელმძღვანელობს სავაჭრო მოლაპარაკებას პოლონეთის მხრივ.

საბერძნეთი.

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებისათვის.

ვენა. 28 თებერვალი. საბერძნეთის პრესა ემხრობა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობის დაუყოვნებლივ განახლებას.

რა ხდება ინგლისში

ვერსალის ხელშეკრულების შესახებ.

ბერლინი. 29 თებერვალი. თემთა პალატაში ჰენდერსონის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. **მაკდონალდს აუარებელი შეკითხვები მისცეს ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ.**

რადიო.

ლონდონი. 29 თებერვალი. ბრიტანეთის მთავრობას რადიო კავშირის გასაფართოებლად ყველა ქვეყნებთან და მთელ მსოფლიოსთან—განზრახული იქვს საგრძნობლად გააფართოვოს სადგური ლიფილდში; მას განზრახული აქვს აგრეთვე გააფართოვოს დიდ ძალიანი სადგური, რომელიც შენდება რაგბიში, აიყვანოს ის 16 ანტენამდე; ყველა ეს მუშაობა შესრულებული უნდა იქნეს სასწრაფო წესით. სადგურების აგების დროს გამოყენებული იქნება რადიო-ტეხნიკის ყველა ახალი გაუმჯობესებანი.

5 ახალი კრეისერის აგების შესახებ.

პარიზი. 29 თებერვალი. ლიბერალების ერთმა ჯგუფმა გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიაც ნათქვამია, რომ მთავრობის პროექტი 5 კრეისერის აგების შესახებ გამოწვეულია ინგლისის მთავრობის სურვილით გაძლიერებული იქნეს ინგლისის საზღვაო ფლოტი. **ამან საზღვარგარეთ შექმნა უნდობლობის ატმოსფერა ინგლისის მიმართ. მუშათა პარტიის კრებამ მოიწონა მაკდონალდის მთავრობის პროექტი ახალი კრეისერების აგების შესახებ.**

ახალი მუშაკები სოფელს

ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების ყურადღების მთავარ საგანს დღეს შეადგენს სოფელი, გლეხობის მდგომარეობის შემსუბუქება.

ჩვენი გლეხობა მძიმე მდგომარეობაში იმყოფება არა მარტო ე. წ. ობიექტიურ პირობების გამო, რომელიც გამოიხატება სასოფლო-მეურნეობის და ქალაქის წარმოების შორის ნორმალურ პროპორციის დარღვევაში,—„მაკრატელში" და სხვა მოვლენებში,—არამედ იმიტომაც, რომ სოფლად ძალიან ცოტანი გვყვანან გლეხობის ავ-კარგის, მისი ჭირვარამის მცოდნე და გამოცდილი მუშაკები. ბოლოს და ბოლოს ამ არაბედსაყრელ „ობიექტიურ პირობების" შეცვლა, შესაძლებელ ფარგლებში და სასურველი მიმართულებით, ხომ ჩვენზეა დამოკიდებული, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გამოვიჩენთ უნარს და ენერგიას ჩვენს წინაშე აღმართულ სიძნელეთა გადასალახავად და მიზანშეწონილი ნაყოფიერი აღმშენებლობითი მუშაობისათვის.

და სწორედ აქ დგება საკითხი სოფლისათვის ცენტრიდან არა მარტო მატერიალურ საშუალებათა მიწოდებისა, არამედ აგრეთვე ცოცხალი ძალით, შესაფერი მუშაკებით მიშველების.

პარტიამ გადასწყვიტა სოფელს მიაშველოს საბჭოთა კავშირის მასშტაბით სამი ათასზე მეტი თავისი წევრი.

ეს ზომა ფრიად მნიშვნელოვანია და საყურადღებო.

ჩვენ ვამბობთ, რომ სოფელს ნაკლებად ყავს გამოცდილი, მომზადებული და ხალხის გულშემატკივარი მუშაკები მშენებლობის ყოველ დარგში,—არის ეს კოოპერაცია, სკოლა, თეატრი, კლუბი, სამკითხველო, ადმინისტრაცია, თუ სხვა.

სამუშაო სოფლად აურაცხელია. აქ ყოველ მუშაკს, რომელსაც აქვს უნარი, ენერგია, გამოცდილება, ხალხისადმი სამსახურის სურვილი,—სავსებით შეუძლია გადაშალოს თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი და სოფლის ცხოვრებას მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიოს, წარმართოს ის ეკონომიური აღორძინების და კულტურული ამაღლების გზით.

ამიტომ ცენტრმა სოფლისათვის არ უნდა დაიშუროს თავისი საუკეთესო ძალები. პროვინციაში გასაგზავნ ამხანაგების შერჩევას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. აქ სამუშაოდ ყველა არ გამოდგება. ამისთანა პირების გაგზავნა, რომელთაც მხოლოდ „მომენტზე" აქვთ გაზეპირებული ორიოდე ფრაზა, სარგებლობის მაგივრად ვნებას და მოუტანდა პარტიასაც, გლეხობასაც, საერთოდ ჩვენს საქმეს. აქ საჭიროა საქმიანი თვალსაზრისის გატარება და ისეთი ამხანაგების მიშველება სოფლისათვის, რომელთაც შეუძლიათ გლეხობას შორის ტრიალი, მის გასაჭირთან ახლოს მიდგომა და პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმა. ჩვენი ამხანაგები გლეხობასთან ერთად უნდა ჩაებან მის ცხოვრების უღელში, მასთან ერთად შეეცადონ მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას, სასოფლო საქმეების მოწყობას, როგორც ამას მოითხოვს დღევანდელი სინამდვილე, ხალხის კეთილდღეობა, საბჭოთა ხელისუფლების ინტერესი. ერთი ისეთი ამხანაგი, რომელიც, მაგ., სადმე სოფელში, გლეხობის აქტიური მონაწილეობით, კოოპერატივს გამოაწყობს და გაუძღვება რიგიანად, ისე, რომ მასში საქონელი იყიდებოდეს შედარებით უფრო იაფად, ვინემ სხვაგან, კერძო ვაჭართან,—გაცილებით უკეთესია „დიუჟინ" აგიტატორებზე.

ასეა მშენებლობის სხვა დარგებშიც.

გლეხობამ ჩვენი მუშაობის ცოცხალ მაგალითზე, ფაქტებზე უნდა დაინახოს, რომ ჩვენ მას ვეხმარებით მთელი ძალღონით და ვცდილობთ მისი ცხოვრების შემსუბუქებას, მისი კეთილდღეობის აწევას. ერთ-ორ საქმიან, თუ გინდ მცირე, მიღწევას უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

პარტია გაგზავნის პროვინციებში სწორედ ისეთ პირებს, რომელნიც შესძლებენ პარტიულ, საბჭოთა, კოოპერატიულ, კულტურულ და სხვა მუშაობის გამოცოცხლებას სოფლად და გახდებიან საბჭოთა საზოგადოებრიობის ცენტრებად გლეხობაში.

ამასთან,—და ეს ერთი მთავარი ამოცანათაგანია,—ისინი უნდა იყვნენ შემაკავშირებელნი გლეხის და მუშის, პარტიის და უპარტიო მშრომელი მასის.

საიმედო მუშაკების მიშველებას სოფლისათვის, ვიმეორებთ, დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის და ქალაქის კავშირის განმტკიცების და გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმისათვის.

პარტია ამ საკითხს ეკიდება საჭირო სიფრთხილით და ხალისით, და კიდეც გადაჭრის მას სათანადოთ.

დაწესებულებების რეორგანიზაცია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია

სახელმწიფო აპარატების გაუმჯობესების საკითხი საბჭოთა ხელისუფლებისათვის ერთ იმ ძირითად საკითხს შეადგენს, რომელიც ბევრი ხანია დასმულია დღის წესრიგში და პრაქტიკულ განხორციელების გზაზე სდგას. ამ საკითხს დიდი ყურადღებით მოეკიდა კომპარტიის XIII კონფერენცია და საკავშირო საკონტროლო კომისიებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყრილობა. ორივემ თავის რეზოლიუციებში სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საკითხს საპატიო ადგილი დაუთმეს და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა დაუყოვნებლივ საჭიროთ იცვნეს. ეს საკითხი კიდევ გასულ წელს იყო დასმული ამხ. ლენინის მიერ მე-XII პარტიული ყრილობის წინაშე და ამის შემდეგ მოხდა სწორეთ მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეორგანიზაცია. ინსპექციის მუშაობის უმთავრესი ღერძი ამ დღიდან აქეთკენ არის მიმართული. „მუშათა და გლეხთა ინსპექცია არის ძირითადი ორგანო საბჭოთა ხელისუფლებისა სახელმწიფო აპარატების გაუმჯობესების საქმეში, სრულ მის დაპყრობაში და გამოყენებაში სოციალისტურ აღმშენებლობისათვის" (იხ. დებ. მ. და გ. ინსპექციისა § 1.)

უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი, მისი განსაკუთრებული თვისებების გამო, ჯერჯერობით ვერ არის მთლიანად მოგვარებული. ეს გასაგებია, ვინაიდან ყველა ჩვენგანი უწევს ანგარიშს ამ საკითხის გადაჭრის სიძნელეს; ეს მეტად რთული და სერიოზული საქმეა და მოითხოვს დიდ დროს და წინასწარ გამოცდილებას, რომელიც ჯერ მუშათა და გლეხთა ინსპექციას საკმაოდ არა აქვს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ უნდა შეუდგეთ ნაბიჯების გადადგმას მუშაობის ამ დარგში გაცხოველებისათვის. საქმე იმაშია, რომ მთელი რიგი დაწესებულებები დროდადრო რეორგანიზაციის პროცესს განიცდის. ამა თუ იმ დაწესებულებას ამ სამი წლის განმავლობაში რამოდენჯერმე გამოუცვლია ფორმა, სტრუქტურა, სახელი, შემცირებულა შტატი და სხვა. ეს რეორგანიზაციები კი ისეთი სისწრაფით ხდება, რომ ხშირად ანგარიშის გაწევასაც ვერ ასწრებ. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას სამეურნეო ორგანოებზე, რომლებიც ამ რეორგანიზაციაში ხედავენ თითქო რაღაც უებარ მალამოს, რომელმაც უნდა განკურნოს და გაბლონიეროს ეს დაწესებულება. ხშირად კი არსებითად არაფერი იცვლება, ფუნქციები და შინაარსი ძველი რჩება და შედეგები კი ჩქარა არავის აღარ აკმაყოფილებს. ამას შემდეგ განმეორებით კიდევ რეორგანიზაცია, შტატის შემცირება, სტრუქტურის შეცვლა და სხვა. თუ რატომ ხდება ასე ხშირად რეორგანიზაცია ერთ და იმავე დაწესებულებაში და რა არის ამის მიზეზი, ამის გამორკვევას აქ ვერ გამოუდგებით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამგვარ რეორგანიზაციას უფრო ხშირად სარჩულად უდევს სუბიექტიური მომენტები. ამ მომენტის აწონ-დაწონა და შეფასება ხდება დაწესებულების ხელმძღვანელთა გემოვნებაზე, რომლებიც, როგორც ვიცით, ხშირად იცვლებიან; ძველი სტრუქტურა მათ არ მოსწონთ, ისინი საჭიროდ ხედავენ ამის გამო დაწესებულების გარდაქმნას და ეს ხდება ისეთი სიჩქარით, როგორითაც იცვლებიან ეს ხელმძღვანელები. შედეგი კი ის არის, რომ რეორგანიზაციის ობიექტიური პირობები და ფუნქციის პერსპექტივები ყოველთვის ვერ არის ხოლმე კარგად შესწავლილი და წარმოდგენილი. ამ მოვლენას არ შეიძლება არ მიექცეს მთავრობისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყურადღება. უნდა დაკანონებული იქნეს ისეთი წესი, რომლის ძალითაც ყოველივე რეორგანიზაცია თუ ორგანიზაცია დაწესებულებისა მოხდება საკანონმდებლო გზით.

ეს იმდენად დიდი საკითხია და მჭიდროთ დაკავშირებული სახელმწიფოს ბიუჯეტთან, რომ არ შეიძლება ამ საკითხის გადაჭრა დამოკიდებული იყოს მხოლოდ და მხოლოდ დაწესებულების ხელმძღვანელის სურვილზე და ხდებოდეს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების გარეშე.

გარდა ამისა, გამოცემული უნდა იქნეს განკარგულება, რომლის თანახმად ყველა დაწესებულებებს უნდა ევალებოდეს, რომ ისინი ყოველივე საკითხს რეორგანიზაციის, ორგანიზაციის, შტატის შემცირების და საზოგადოთ დაწესებულების გარდაქმნის შესახებ აუცილებლად ათანხმებდნენ მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან. პროექტი ასეთი რეორგანიზაციისა, სანამ წარედგინებოდეს მთავრობას დასტურისათვის, წარდგენილი უნდა იქნას მ. და გ. ინსპექციაში, სადაც ის იქნება შესწავლილი და განხილული დაინტერესებულ დაწესებულებასთან ერთად. ასეთი წესი უსათუოდ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ყოველივე მოსაზრებით და აუცილებლად დიდ გავლენას იქონიებს იმ შეუჩერებელ რეორგანიზაციებზე და შტატების შემცირებაზე, რაც ეგრე ხშირად ხდება და დიდი ფული უჯდება სახელმწიფოს.

დღევანდელ პირობებში კი მუშათა და გლეხთა ინსპექციას უხდება დაწესებულებების შესწავლა და შეფასება პოსტ-ფაქტუმ, რომელიც უფრო საძნელოა და მიზანსაც ნაკლებად აღწევს.

ა. კალანდაძე.

ვალიუტით სპეკულიაციის მოსპობა

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

იანვარში დასახული იყო ვალიუტით სპეკულიაციის წინააღმდეგ ზომების მიღება და ჩერვონეცის ოფიციალური და საბირჟო ფასების დაახლოვება. ახლა ეს ამოცანა გადაჭრილათ უნდა ჩაითვალოს. მოსკოვში, შეიძლება ითქვას, რომ ვალიუტით სპეკულიაციას ამჟამათ ბოლო მოეღო და მან დაკარგა ის „მიმზიდველობა", რომელიც მას ჰქონდა წარსულ თვეებში. თუ უწინ ილინკა (ქუჩა ცენტრში) და სხვა ქუჩები და ბაზრები სავსე იყვნენ „ვალიუტჩიკებით", ახლა მათი რიცხვი ძლიერ შემცირდა და ძალიან ძვირათ შეხვდებით მათ.

საკითხავია თუ რამ მოახდინა ვალიუტით სპეკულიაციის მოსპობა.

უმთავრესი სპეკულიაციის საგანი იყო ჩერვონეცი. მისი ოფიციალური ფასი ვერ ეწეოდა საბირჟო ფასს. ბირჟაზე ჩერვონეცი იყიდებოდა 5 პროცენტით უფრო ძვირათ. ამავე დროს ბანკებში მათი ყიდვა და გაყიდვა არ სწარმოებდა ფართე მასშტაბით, რაც ყველა მსურველს ვერ აკმაყოფილებდა. ამით სარგებლობდა შავი ბირჟა და ეწეოდა ჩერვონცების ყიდვა და გაყიდვას. მსურველებს ძალა-უნებურად უნდა მიემართათ ბირჟისადმი და რამდენათაც ეს მიმართვა იყო შემთხვევითი, იმდენათ ჩერვონეცის ყიდვა და გაყიდვა ხდებოდა ოფიციალური ბირჟის გარეშე. ამას ალღო აუღეს „ვალიუტჩიკებმა" და ყველგან, სადაც შესაძლებელი იყო ვალიუტის დახურდავება, ადგილი დაიჭირეს. იდგნენ დიდ ქუჩებზე, ბაზრებში, მაღაზიების და ბანკების წინ და ეწეოდნენ ვალიუტით ვაჭრობას.

ახლა კი ეს ასე აღარ არის. საბირჟო და ოფიციალური ფასი ჩერვონეცზე ერთმანეთს არ განსხვავდება. ყველგან ბანკებში *) ფართოთ სწარმოებს ჩერვონეცის ყიდვა და გაყიდვა. ქალაქის ნაწილებში გახსნეს რამოდენიმე ათეული ვალიუტის გამცვლელი კანტორები, რომელნიც გაცვლას აწარმოებენ საბირჟო ფასების მიხედვით. მაღაზიებში ნაშუადღევის სამ საათის შემდეგ ჩერვონეცების იღებენ მეორე დღის კურსით, ხოლო საქონლის ფასებს ანგარიშობენ ძველი (მიმდინარე დღის) კურსით.

ამას კიდევ დაეხმარა რკინის გზის „სერტიფიკატები", რომელნიც უდრიან ხუთ მანეთს (ნახევარ ჩერვონეცს). „სერტიფიკატები" ფართოთ არიან ხმარებაში.

ყველა ამ ზომებმა საფუძველი გამოაცალეს ფეხქვეშ „ვალიუტჩიკებს". ისინი ვეღარაფერ სარგებლობას ვერ ნახულობენ ჩერვონეცის ყიდვა-გაყიდვაში. ახლა ყველა მიდის ბანკებში და გამცვლელ კანტორებში, სადაც თავისუფლათ, დროის დაუკარგველათ შეუძლიათ მოახდინონ გადახურდავება.

ლან-ძე.

მოსკოვი, 23 თებერვალი

---

*) მოსკოვში ყველა ბანკს, როგორც სახელმწიფოსას, ისე კოოპერატიულს და სხვას უფლება აქვთ ვალიუტით ვაჭრობის და არავითარი პრივილეგია არავისათვის არ არსებობს.

იარაღს აჩხარუნებენ

მობილიზაცია სერბიის სამხრეთ ნაწილში.

რომი. 1 მარტი. სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ნინჩიჩმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ურთიერთობა ბულგარეთთან გართულებულია იმის გამო, რომ სერბიის სამხრეთ საზღვარზე ამ ჟამათ სწარმოებს 10.000 კომიტაჯების მობილიზაცია.

სამხრეთ-სლავია იარაღს ისხამს.

რომი. 1 მარტი. რომის ოფიციალურ წრეებში არაფერი არ იციან იმის შესახებ, რომ სამხრეთ-სლავია ემზადება ბულგარეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ. „ჩიკაგო ტრიბუნ“-ი სარწმუნო წყაროებიდან იტყობინება, რომ სამხრეთ-სლავია იარაღს ისხამს და ამზადებს ზარბაზნებს და ამუნიციას.

მდგომარეობა გერმანიაში

ჰიტლერის პროცესი.

ბერლინი. 29 თებერ. მიუნხენში ჰიტლერის პროცესზე, პოლიციის ყოფილმა პრეფექტმა ცენერმა და პასუხისგებაში მიცემულმა სხვა პირებმა დაკითხვის დროს სერიოზული ბრალდებები წაუყენეს კარს და ლოსსოვს.

მიუნხენიდან მიღებული ცნობების თანახმად, ჰიტლერის პროცესის გამო, მოსალოდნელია 3 გამოჩენილი პირის დატუსაღება.

ჰიტლერის ჯარების მეთაურმა კრიბელმა განაცხადა, რომ ის თანამშრომლობდა ორგეშთან და აქტიურათ მუშაობდა ავსტრიის გერმანიასთან შეერთების სასარგებლოთ.

სეპარატისტული მოძრაობის ალსასრული.

ბერლინი. 29 თებერ. შნეიერიდან იტყობინებიან, რომ პფალცის ეგრეთ წოდებული ავტონომიური მთავრობა დაშლილად ითვლება. გაზეთები ამტკიცებენ, რომ სეპარატისტების მეტი ნაწილი მიემგზავრება ამერიკაში.

საალყო წესები.

პარიზი. 29 თებერ. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ სამხედრო საალყო წესები მოხსნილია გერმანიაში და საქსონიაში, მაგრამ დატოვებულია ბავარიაში.

გერმანიის რეპარაცია.

ლონდონი. 29 თებერ. შტრეზემანმა განაცხადა რეიხსტაგში, რომ თუ გერმანიამ უნდა გადაიხადოს კონტრიბუცია, მას უნდა ჰქონდეს კონტროლი თავის შემოსავალზე.

გერმანიის მრეწველები ესალმებიან ინგლისის მიერ სარეპარაციო გადასახადების 5 პროცენტით შემცირებას.

სხვადასხვა ამბები

საფრანგეთი

მუშის ქარხნისათვის ცეცხლის წაჩენა.

პარიზი. 29 თებ. მუშის ქარხნის „რალმან“ მუშებმა, რომლებიც უკმაყოფილონი დარჩენ სასამართლოს დადგენილებით (სასამართლომ განუსაზღვრელი ვადით გადასდო მათი მოთხოვნილების განხილვა) ცეცხლი წაუკიდეს ქარხანას. დაპატიმრებულია ქარხნის გამგეობის 7 წევრი.

ჩინეთი

ჩინეთის მუშების ძეგლი.

პეკინი. 29 თებერვალი. ჩინეთის მუშათა ორგანიზაციებმა შანხაიში გადაწყვიტეს აგონ ძეგლი ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

საბერძნეთი

ვენიზელოსს იცავენ.

პარიზი. 29 თებერვალი. საბერძნეთის მთავრობამ ვენიზელოსს დაუნიშნა მცველი რაზმი, რომელიც შესდგება 100 კაცისაგან. ეს გამოწვეულია შეთქმულების აღმოჩენით, რომლის მიზანი იყო ვენიზელოსზე თავდასხმა.

პლებისციტი.

ლონდონი. 29 თებერვალი. ნაციონალურმა კრებამ ათინაში მიიღო მთავრობის წინადადება, რომლის მიხედვით დინასტიის საკითხი უნდა გადაიჭრეს პლებისციტის საშუალებით.

ჩეხო-სლოვაკია

კონფერენცია აპრილში იქნება მოწვეული.

ვენა. 29 თებერვალი. მცირე ანტანტის კონფერენცია, რომელიც დანიშნული იყო იანვრისათვის, მოწვეული იქნება აპრილში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ფაბრიკა-ქარხნების ახალგაზრდობის მოსკოვის კონფერენცია.

მოსკოვი. 29 თებერვალი. კავშირთა სახლში გაიმართა ფაბრიკა-ქარხნების ახალგაზრდობის წარმომადგენელთა საერთო საქალაქო კონფერენცია. მონაწილეობას იღებდა 523 წარმომადგენელი 467 წარმოებისაგან.

ამხ. სმაშკოს მოხსენების გამო მოზარდ მუშების შრომის პირობების გაუმჯობესების და პროფესიონალურ ავადმყოფობასთან ბრძოლის შესახებ, კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ესალმება საბჭოთა ხელისუფლებას და მის მუშაობას მოზარდ მუშების ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

ამხ. კალინინის მოხსენების გამო უპატრონო ბავშვთა შორის მუშაობის შესახებ, კონფერენციამ დაადგინა—ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლა ჩაითვალოს ახალგაზრდობის და მის ავანგარდის ახკომკავშირის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად.

ლენინგრადის მრეწველობა აღმოსავლეთში.

მოსკოვი. 29 თებერვალი. ჩრდილოეთ-დასავლეთის სავაჭრო პალატამ მიმართა ბანკებს წინადადებით, რათა ლენინგრადის მრეწველობას მიეცეს ფინანსები აღმოსავლეთთან კავშირის დასაჭერად.

რუსეთის ვაშლების და გამხმარი ხილების განაღდება.

მოსკოვი. 29 თებ. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობა ფინეთში წარმატებით ამზადებს რუსეთის ვაშლების და გამხმარი ხილების განაღდებას ფინეთში. ამ პროდუქტების შესაძლებელი გაზიდვა განისაზღვრება 2,000 ტონით, რაც შეადგენს 15 მილ. ფინეთის მარკით.

ფულის რეფორმა

ჯამაგირი ოქროს ვალიუტით.

მოსკოვი. 1 მარტი. მტკიცე ვალიუტაზე გადასვლის გამო საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭო ადგენს:

1) **აკრძალულ იქნას 1 მარტის შემდეგ ხელშეკრულებების დადება, ვალდებულებათა გაცემა და აგრეთვე ტარიფების და ნიხრების დაწესება საქონლის ფასების საშუალო ინდექსით (საქონლის მანეთებით).**

2) ხელშეკრულებებს და ყოველგვარ ვალდებულებებს, რომლებიც დადებული იქნებიან საქონლის მანეთებში, 1924 წ. 1 მარტის შემდეგ ეკარგებათ ძალა.

3) **ყოველგვარი ხელშეკრულებები და ვალდებულებანი, რომელიც დადებული იყო 1 მარტამდი შრომის ხელფასის საქონლის მანეთებში გამოანგარიშების საფუძველზე, გადაყვანილი უნდა იქნენ ოქროს ვალიუტაზე, არა უგვიანეს 1924 წ. 15 მარტისა.**

შენიშვნა: ოქროს ვალიუტაზე გადაყვანილი იქნება ყველა ხელშეკრულებები, გარდა კოლექტიური ხელშეკრულებებისა, მტკიცე პარიტეტის მიხედვით—საქონლის 1 მანეთი უდრის 1 მან. 30 კაპ. ოქროთი. კოლექტიურ ხელშეკრულებების ოქროს ვალიუტაზე გადასვლა დაწესებული იქნება შრომის და თავდაცვის საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

აღნიშნული განკარგულება ძალაში შევიდეს რადიოს საშუალებით.

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ლ. კამენევი.
მდივანი ლ. ფოტიევა.

ხელფასის გასტუმრება მტკიცე ვალიუტით

მოსკოვი. 1 მარტი **შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილების გამო ხელფასის ოქროს ვალიუტაზე გადაყვანის შესახებ, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ წინადადება მისცა ყველა პროფორგანიზაციებს დაუყოვნებლივ შეუდგენ დამატებით ხელშეკრულებების დადებას სამეურნეო ორგანოებთან ხელფასის მტკიცე ვალიუტაზე გადასაყვანად.** სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო ხაზს უსვამს, რომ საჭიროა მუშების რეალური ხელფასის დატოვება როგორც მტკიცე ვალიუტაზე გადასვლის მომენტში, ისე შემდეგშიაც. ბაზრის ფასების ცვლილების მიხედვით (Бюджетный набор).

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო აქცევს რა ყურადღებას პროდუქტებზე ფასების არაბუნებრივად ზრდას, რომელიც შემჩნეულია უკანასკნელ ხანებში საბჭოთა ფულის ნიშნების სწრაფად დაცემის გამო, აღნიშნავს, რომ **ფულის რეფორმა, ისე როგორც საბჭოთა ხელისუფლების სხვა ყველა ღონისძიებანი მიმართულია ფასების მნიშვნელოვნად დაწევისაკენ და საქონლის ფასებსა და ჩერვონეცს შორის ნორმალურ შეფარდების დამყარებისაკენ.**

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო საჭიროთ სთვლის რათა ხელფასის ახალ გამოანგარიშებაზე გადასვლა მოხდეს მტკიცე პარიტეტით, იმისდამიხედვით თუ რა შეფარდება არსებობდა უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში საქონლის მანეთსა და ჩერვონეცს შორის. პარიტეტი დამატებით იქნება გამოქვეყნებული ცენტრის მიერ იღებს რა მხედველობაში იმას, რომ დღეს ეს პარიტეტები უფრო მცირეა, ვიდრე ნამდვილი შეფარდება საქონლის და ჩერვონეცის მანეთს შორის, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო საჭიროთ სთვლის რეალურ ხელფასის შენარჩუნების მიზნით, მიეცეთ მუშებს დამატება სიძვირის გამო.

სრ. რუს. პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო წინადადებას აძლევს ყველა პროფორგანიზაციებს განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრან ამ გადასვლას და დაასრულონ იგი მარტის ბოლო რიცხვებისათვის.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, **რომ მტკიცე ვალიუტის გატარება და ამ საქმის სასწრაფოდ დამთავრება მტკიცე საძირკველს ჩაუყრის ჩვენს მეურნეობას და გააჯანსაღებს მუშის ბიუჯეტს და ამით გააუმჯობესებს მის მატერიალურ მდგომარეობას.**

კომინტერნის არსებობის ხუთი წლის თავისათვის

პრაქტიკული ნაბიჯები მის ჩასატარებლად

კომინტერნის აღმასკომი ავალებს კომუნისტური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს გაატარონ იუბილეს დღე თავიანთ ქვეყნებში, რისთვისაც იძლევა ზოგადი ხასიათის რჩევა-დარიგებას ამ დღის გასატარებლად.

I. 5 მარტის იუბილეს გატარების დროს უნდა აღინიშნოს შემდეგი ეტაპები:

1. პარიზის კომუნის მნიშვნელობა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების პირველი ცდისა.

2. ლენინის და ბოლშევიზმის დამსახურება, როგორც მეორე ინტერნაციონალის მემარცხენე ფრთისა. ციმმერვალდის მემარცხენე ფრთა, როგორც წინამორბედი კომუნისტური ინტერნაციონალისა. ლენინის ლოზუნგი იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომათ გადაქცევის შესახებ.

3. კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსება პროლეტარული დიქტატურის პირველ ქვეყანაში, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მსოფლიო კაპიტალის და რუსეთის კონტრ-რევოლიუციის უსასტიკესი შეტევის დროს. სოციალისტური პარტიებიდან და პროფკავშირებიდან რევოლიუციონური ელემენტების თავის მოყრა კომუნიზმის დროშის ქვეშ.

4) კომუნისტური ინტერნაციონალის ჩამოყალიბება იდეურად და ორგანიზაციულად მეორე კონგრესზე. 21 მოთხოვნილება, როგორც მთავარი გარანტია კომინტერნში ოპორტიუნისტული ორგანიზაციების შემოპარვის წინააღმდეგ.

ლენინის თეზისები კოლონიალურ და ნაციონალურ საკითხებზე.

5) კომუნისტური პარტიების ზრდა. რევოლიუციონური ბრძოლა მსოფლიო პროლეტარიატისა, რომელსაც დასავლეთ ევროპისა და ამერიკის კაპიტალიზმის სახით უფრო ძლიერი მტერი ჰყავთ, ვიდრე რუსეთის მშრომელთ 1917 წელში.

6) ტაქტიკა კომუნისტური ინტერნაციონალისა, როგორც მსოფლიო რევოლიუციის მებრძოლი ავანგარდის. ლოზუნგი „მასებისაკენ“, რომელიც მთავარი იყო მეორე და მესამე კონგრესებს შორის პერიოდის და რომელიც გამოყენებული იქნა შემდეგ ერთიანი ფრონტის და მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგის სახით.

7) ერთიანი ფრონტის ლოზუნგის გამოყენება არა მარტო მუშა კლასის წრეში, არამედ ქალაქის პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას შორის კავშირისათვისაც. გლეხთა საერთაშორისო კონფერენციის მნიშვნელობა (1923 წ. მოსკოვში), როგორც გლეხთა გაყვლეფილი მასების გაერთიანების პირველი ცდის.

8. 4-ხე კონგრესის შემდეგი პერიოდის დახასიათება. საერთაშორისო ფაშიზმი და მისი შეტევა. სოციალისტური პარტიების, მეორე ინტერნაციონალის ნაშთების დაშლის პროცესი. საბჭოთა რესპუბლიკების გამაგრება. რეაქცია გერმანიაში, ბულგარეთში და სხვ.

9. მსოფლიო რეაქციის მსხვერპლნი. დახმარება რევოლიუციისათვის მებრძოლებს და მათ ოჯახებს. კომინტერნის მიერ შექმნილი „რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საზოგადოება“, ამსუბუქებს რა რევოლიუციისათვის მებრძოლთა ხვედრს, აძლიერებს საერთაშორისო მუშათა სოლიდარობას—კომუნიზმის გამარჯვების საუკეთესო საწინდარს.

II ლიტერატურულ პროპაგანდისტული მუშაობა.

ა) ყველა პარტიების ცენტრალური ორგანოები, პარტიის ყველა პერიოდული ორგანოები 5 მარტს უძღვნიან ნომერს კომინტერნის 5 წლის თავს.

ბ) პარტიებმა, რომელთაც ტეხნიკური და პოლიტიკური პირობების მიხედვით შეუძლიათ გამოსცენ სპეციალური ბროშიურები კომინტერნის 5 წლის თავის გამო, უნდა გააკეთონ ეს 5 მარტისათვის.

2) იუბილეს დღეს, პარტიები, ადგილობრივი პირობების მიხედვით, აწყობენ საიუბილეო კრებებს, მიტინგებს, დემონსტრაციებს, მსვლელობას რევოლიუციისათვის მებრძოლთა საფლავებზე და სხვა.

3) უჩვენებენ სათანადო კინო-სურათებს, სურათებს და სხვა.

კომინტერნის აღმასკომი.

ბრძოლის ეტაპები

საუბარი ამხ. კოლაროვთან

პირველი ამოცანა.

მოსკოვი. 1 მარტი. კომინტერნის გენერალურმა მდივანმა ამხ. კოლაროვმა როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ კომინტერნის უპირველეს ამოცანას შეადგენდა კომპარტიის შექმნა ყველა ქვეყნებში. ამჟამად კომინტერნს თავისი სექციები აქვს თითქმის ყველა ქვეყნებში იმ დროს, როცა მეორე ინტერნაციონალი დარჩა მხოლოდ ინდუსტრიალურად განვითარებული ქვეყნების სოციალისტური პარტიების ინტერნაციონალად.

მსოფლიო კომპარტიის შექმნა.

კომინტერნის მეორე ამოცანას შეადგენდა ყველა კომპარტიების გაერთიანება ერთ მსოფლიო პარტიაში ერთი პროგრამით, ტაქტიკით და ცენტრალისტურ საფუძვლებზე მოწყობილ აღმასკომით. ამჟამად კომინტერნი უკვე წარმოადგენს ორგანიზაციულ მთლიანს.

კომინტერნი და აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერთა მოძრაობა.

კომინტერნის მესამე ამოცანას შეადგენდა ლენინის მიერ კოლონიალურ და ნაციონალური საკითხების შესახებ გამომუშავებული თეზისების ცხოვრებაში გატარება. ეს თეზისები მიიღო კომინტერნის მეორე კონგრესმა. ეს ამოცანა ჯერ კიდევ არ არის მთლიანად შესრულებული, მაგრამ უკვე მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები: კომინტერნი დიდ გავლენას ახდენს ჩინეთის, ინდოეთის, კორეის, ინდონეზიის, სამხრეთ-აფრიკის, ეგვიპტის, საფრანგეთის კოლონიების ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობაზე—ყოველგან, სადაც სწარმოებს ბრძოლა ნაციონალური განთავისუფლებისათვის.

მუშათა და გლეხთა კავშირის და ერთიანი ფრონტის ლოზუნგი.

კომინტერნის მეოთხე ამოცანად დასახული ჰქონდა თავისი გავლენის გავრცელება მშრომელი გლეხობის ფართო მასებზე. კომინტერნმა გაითვალისწინა გლეხობის როლი კაპიტალისტურ ქვეყნებში და წამოაყენა მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი თითეულ ქვეყანაში, იმპერიალიზმთან შეერთებული ძალებით ბრძოლის მიზნით. ეს ლოზუნგი დროული აღმოჩნდა. გლეხობა თვით უწვდის ხელს მუშა კომუნისტებს.

საერთაშორისო რევოლიუციის უდიდესი მონაპოვარი.

„საერთაშორისო რევოლიუციის მთავარ მონაპოვარს,—სთქვა ამხ. კოლაროვმა,—წარმოადგენს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. მთელი ქვეყნის მუშები იცავენ საბჭოთა კავშირს. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კაპიტალისტური მთავრობის მიერ ცნობა მოხდა აგრეთვე მუშურ-გლეხური მასების ზეგავლენით.

კაცობრიობა ამჟამად სდგას მეორე იმპერიალისტური ომის ან საერთაშორისო რევოლიუციის წინაშე თუ იფეთქა ომმა, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ის გადაიქცევა სამოქალაქო ომათ და დამთავრდება პროლეტარული მასების და დაჩაგრული ერების გამარჯვებით მსოფლიო იმპერიალიზმზე“.

კომინტერნი და კოლონიალური ქვეყნები

საუბარი ამხ. ემერისთან

მოსკოვი. 1 მარტი. კომინტერნის აღმასკომის წევრმა და კოლონიალური ქვეყნების წარმომადგენელმა ამხ. ემერიმ როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს სთქვა, რომ ოქტომბრის რევოლიუციას მხურვალედ გამოეხმაურენ კოლონიალური ქვეყნებში რევოლიუციონური მოძრაობის ყველა შეგნებული ელემენტები. საბჭოთა კავშირისა და კომინტერნისაკენ მიპყრობილია იმპერიალიზმთან მებრძოლთა თვალები. კომუნისტური ლოზუნგები უფრო და უფრო იჭრებიან კოლონიების მილიონ დაჩაგრულ მუშათა და გლეხთა რიგებში.

ამხანაგების მობილიზაცია

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი კომინტერნის არსებობის 5 წლის იუბილეს დღეს მოხსენებების გასაკეთებლად წარმოებებში ახდენს შემდეგი ამხანაგების მობილიზაციას:

ლენინის რაიონისათვის: ამხ. ორჯონიკიძე, მ. ცხაკაია, შ. ელიავა, ტალახაძე, ელისაბედაშვილი.

არსენალის რაიონისათვის: ამხ. მამია ორახელაშვილი, ლომინაძე, კახიანი, რუბენი, ერქომაიშვილი, ვირაპი, მარიამ ორახელაშვილი, ტაკოევი, მოგილევსკი, არჩილ მიქაძე, ქაცარავა.

ავლაბარ-ხარფუხის რაიონისათვის:—ამხ. გუსეინოვი, რასულ-ზადე, კასიანი, მარკარიანი, კოსტანიანი, ვართაპეტიანი, ალი-ტაგი-ზადე, გარიბჯანოვი, ქვანია, მამულაიშვილი.

ქალაქის რაიონისათვის:—ამხ. მიასნიკოვი, გ. სტურუა, ვარძიელი, ნ. ოკუჯავა, ივანიანი, რუხაძე, ნოვიკოვი, მათიკაშვილი.

ყველა ზემოაღნიშნული ამხანაგები უნდა გამოვიდნენ მოხსენებებით სათანადო რაიკომების მითითებისამებრ.

რაიკომებმა ამ მოხსენებისათვის უნდა გამოიყენონ აგრეთვე მიმაგრებული ამხანაგები.

ტფილ. კომიტ. მდივანი რუბენი.

პარტიული ცხოვრება

ქალთა საერთაშორისო დღესასწაულობის გეგმა

1924 წ. 8 მარტი

1. სამაზრკომების ქალთა შორის მუშაობის განყოფილებებთან 8 მარტის დღესასწაულის ჩასატარებლათ მოეწყოს კომისია: სააგ. საპ. განყოფ. კ. ახ. კომ., წითელი ჯარის, პროფკავშირების და აქტიურ დელეგატ-ქალების მონაწილეობით.

2. კომისია იმუშავებს 8 მარტის დღესასწაულის გეგმას და თვალყურს ადევნებს მის ცხოვრებაში გატარებას.

3. ყველა უჯრედებში წინასწარ წაკითხულ იქნას მოხსენება 8 მარტის შესახებ.

4. ასეთივე მოხსენებები უნდა მოეწყოს აგრეთვე წარმოებებში საზოგადო კრებებზედაც.

5. სასოფლო ყრილობებზე უნდა ჩატარდეს დელეგატ ქალების არჩევნები მუშა და გლეხ ქალების სარაიონო კონფერენციისათვის.

6. ქალთა შორის მუშაობის განყოფილება წინასწარ მობილიზაციით იწვევს საუკეთესო პარტიულ ძალებს, როგორც სარაიონო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებათ, ისე სოფლებში გასაგზავნად.

7. 8 მარტამდე ერთი კვირით ადრე უნდა ჩატარდეს კამპანია პრესაში შემდეგი საკითხების გასაშუქებლათ: 1) გაშუქება ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობისა და ამ დღესასწაულის წარმოშობის ისტორია, 2) ქალთა შორის მუშაობის განყოფილებათა პრაქტიკული მიღწევანი, 3) სასადილოების, ბაგეების, საბავშვო სახლების და სხვათა გამოკვლევის შედეგები.

8. შეფების ბიუროსთან გამართულ უნდა იქნეს მოლაპარაკება და 8 მარტის დღესასწაულს უნდა შეუფარდდეს შეფობის პრაქტიკულად განხორციელება, როგორც არის მაგალითად: ქალაქების დელეგატ ქალების სოფლად გაგზავნა, ლიტერატურისა და გაზეთების მიწოდება, სამკითხველოების გახსნა და სხვა.

9. ამ დღეს უნდა შეუფარდდეს ახალი ყოფა-ცხოვრების მომენტები: კომუნისტური ნათლობა, ქორწილი და სხვა.

10. ქალთა შორის მუშაობის ყველა განყოფილებამ უჯრედების მდივნებთან ერთად 8 მარტისათვის უნდა შეამზადონ ნიადაგი მუშა-ქალების დაზგებიდან პარტიისა და კომ. ახალგაზრდათა კავშირში შესვლისათვის.

11. მუშა ქალთა დღისათვის უნდა შეფარდებულ იქნას ყველა პრაქტიკული ღონისძიებანი, როგორიცაა 1) საბავშვო სახლების და ბაგეების გახსნა, 2) სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო არტელების დაარსება, 3) გახსნა გლეხ-ქალთა ქოხებისა, 4) სამშობიარო თავშესაფრებისა და 5) საკონსულტაციო პუნქტებისა.

12. უნდა ჩატარდეს დელეგატ-ქალების მონაწილეობით გამოკვლევა: საბავშვო სახლებისა, ბაგეებისა, საზოგადო სასადილოებისა, აგრეთვე უნდა ჩატარდეს შაბათობა.

13. მუშა-ქალთა დღისათვის უნდა მოწესრიგდეს შრომის დაცვის საკითხები სათანადო კავშირებთან და აგრეთვე დამზღვევ კასებთან.

14. უნდა მოხდეს უმუშევარ ქალების მდგომარეობის გამოკვლევა და უკიდურესათ გაჭირვებულები პირველ რიგში უნდა გაიგზავნონ სამუშაოზე.

15. აქტიურ-დელეგატ ქალებისაგან შესდგეს კომისია გამასწორებელ სახლებში მყოფ მუშა და გლეხ პატიმარ ქალების მდგომარეობის გამოსაკვლევად.

16. იუსტიციის კომისარიატის საშუალებით უნდა ჩატარებულ იქნას ფართო ამნისტია სისხლის-საქმის დამნაშავე მუშა და გლეხ ქალების მიმართ.

17. სახალხო სასამართლოებში დაჩქარდეს და 8 მარტისათვის შეფარდებულ იქნას განხილვა მუშათა და გლეხ ქალებისაგან აღძრული ძიების ქმართან გაყრის, ქონების გაყოფის და ბავშვების უზრუნველყოფის შესახებ.

18. 8 მარტს მუშა-მამაკაცები და მუშა-ქალები უნდა განთავისუფლდენ სამუშაოდან დილის 11 საათზე.

19. უნდა მოეწყოს ქუჩებში სვლა პროფესიონალურ და სამხედრო ორგანიზაციებთან ერთად.

20. უნდა ჩატარდეს მიტინგები, ბავშვთა დღესასწაულები, სოფლებში და ქალაქებში საბჭოების საზეიმო სხდომები დელეგატ-ქალების, ადგილკომების და ფაბქარხკომების მონაწილეობით.

21. საღამოს გაიხსნას სარაიონო კონფერენციები, მოგონებათა საღამოები 8 მარტის შესახებ, კონცერტები და მოხსენებები მუშათა, კ. ა. კ. და წითელარმიელთა კლუბებსა და თეატრებში. დღის წესრიგში უნდა იქნას დასმული: 1) ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი, 2) საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა—ქალაქის სოფელთან დაკავშირება.

ს. კ. პ. ცკას მდივანი კახიანი.
ქალთა შორის მუშაობის განყოფილების გამგე ადამიძე.

ახალ გზაზე

ორიოდე დღეა, რაც გამოვედი... ვხვდები ძველ ამხანაგებს—მუშებს, ინტელიგენციას, ყოფილ და არა ყოფილ მენშევიკებს. შთაბეჭდილება ისეთი მაქვს, თითქო არ იციან, რა ქნან, რა იფიქრონ. აზრი დაყენებული იყო ერთ გზაზე და უჭირს გზის გამოცვლა. გზის სისწორე, რასაკვირველია, არ გაიზომება გამარჯვებით ან დამარცხებით. დამარცხება შესაძლებელია, მოსალოდნელია სწორ გზაზედაც. მაგრამ დამარცხებაზე უარესია ის, რასაც განიცდის დღეს საქართველოს სოციალ-დემოკრატია. მარქსისტს არ უნდა ეშინოდეს თვალის გახელის, თვითკრიტიკაში ის უნდა იყოს შეუბრალებელი.—მე თუ ვერაფერს ვხედავ, ვერც დამინახავს ვინმეო,—ეს არის უხეირო მალულობია. მებრძოლი მოაზრე, რომელიც პასუხისმგებელია არა მარტო თავის თავის წინაშე ვერ შეჯდება ამისთანა მალულობიის უნაგირზე.

დარჩენილ ცენტრალურ კომიტეტს ძალიან უჭირს ამის გაგება და ჩვენი ერთობის 9-10 ნომერში „ამით აცხადებს“, რომ გამოქვეყნებული დოკუმენტები თავიდან „ბოლომდის შეთხზულია ჩეკაში“.

ეს არის, მე ვამბობ, მალულობია, ეს არ შეშვენის პოლიტიკური პარტიის ღირსებას. პარტიამ ან უნდა მიიღო შენ თავზე მთელი პასუხისმგებლობა, ან თუ კი არ გიკეთებია, რაც ამ დოკუმენტებშია ნაჩვენები,—უნდა თქვა, რომ ორი სამი უპასუხისმგებლო კაცის ნამუშევარია აქ და შენ როგორც პარტია, არაფერ შუაში ხარ. მაგრამ, როცა დოკუმენტებს ემალები, ეს იმას გავს, რომ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ჯოხზე იჯდე და ცხენზე გეგონოს შენი თავი.

სამწუხაროთ, პარტიის არალეგალური კონფერენცია თავის რეზოლიუციებში თითონ ამოწმებს, რასაც გვეუბნებიან გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი მასალები. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მაგალითად, კონფერენციის რეზოლიუცია ამბობს:—„სათანადო ნაბიჯები იქნეს გადადგმული ევროპის მმართველ წრეებში (ხაზი ჩემია) ქართველი ერის უფლებების დასაცავათო“.

როგორ „დაიცავენ“ ევროპის მმართველი წრეები ქართველი ერის უფლებებს? რა თქმა უნდა, მხოლოდ ინტერვენციით, და... აქედან ლოღიკური დასკვნაა—შიგნი, საქართველოში ნიადაგი უნდა მომზადდეს ამ ინტერვენციისთვის, მზადების გეგმაში კი, ცხადია, უნდა შევიდეს ანარქია, აჯანყება და სხვა. ამ ლოღიკას ვერ გაექცევი ოფიციალური განცხადებებით. ინტერვენციის და ანარქია-აჯანყების აზრია გატარებული ჩავარდნილ დოკუმენტებში. მე გამოვილაშქრე ამ აზრის წინააღმდეგ. მე ვთქვი, რომ საქართველო ევროპის მმართველი წრეების შემწყურე ვერ იქნება თავის უფლებების დაცვაში. არალეგალურმა კონფერენციამ ამაზე მიპასუხა ცალკე რეზოლიუციით:—„სეით დევდარიანის დებულებები ეწინააღმდეგება საქ. სოც. დემ. მ. პარტიის პრინციპებსო“. როდის ქონდა „საქ სოც.-დემოკრატიას ის პრინციპი“, რომ ევროპის მმართველი წრეების კალთაში შეეფარებინა თავი?.. ეს არის მხოლოდ იატაკ ქვეშ, არალეგალურ მუშაობაში შექმნილი „იდეური სიმდიდრე“. მე უარვყავი ეს „სიმდიდრე“ თავიდან ბოლომდის, და ის არალეგალური კონფერენცია, რომელიც ამის გულისთვის მე პარტიიდან გადაყენებულათ მაცხადებს, გადაყენებული იქნება საერთაშორისო სოციალიზმიდან, სოციალისტური ოჯახიდან.

არასოდეს არ ვყოფილვარ იმის მომხრე, რომ ევროპის მმართველმა წრეებმა „გაანთავისუფლონ“ საქართველო. არასოდეს არ მწამდა ანტანტის დემოკრატიზმი. არ ყოფილა ისეთი წუთი ჩემ პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ პირველი მამლის ყივილზე მე დამეწყებოდეს მარქსისტული პრინციპი—მუშათა კლასის დიქტატურა—და საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ დამეპირდაპირებინოს ბურჟუაზიული დემოკრატიის სისტემა.

ამ მხრივ მე არ დამგვიანებია რევოლიუციონური სიტყვის თქმა.

მართალია, იქნება, მხოლოდ ის, რომ ორი წლის წინეთ მაინც უნდა მეთქვა, რაც ახლა ვთქვი საქართველოს საკითხზე. მაგრამ ეს იქნებოდა წინდაწინ გაცემა ჩვენი პარტიის. მქონდა რწმენა, რომ პარტია ბოლშევიზმთან ბრძოლაში არ ასცილდებოდა სოციალიზმის გზას, არ ემსხვერპლებოდა ეროვნული განკერძოების (национальная исключительность) პრინციპს. ეს რწმენა მაჩუმებდა, ამიტომ მოხდა ჩემი დაგვიანება.

„ზარია ვოსტოკამ“ შენიშნა ჩემი დაგვიანებული „საბოლოო სიტყვის“ გამო, ახლო მომავალი გვიჩვენებს, როგორ გადააქცევს ამ რევოლიუციონურ სიტყვას რევოლიუციონურ საქმეთო. მე, რასაკვირველია, არ მოვაკლებ ცდას, რომ არც ერთი სიტყვა ჩემი „საბოლოო სიტყვის“ საქმედ გადაუქცეველი არ დარჩეს. დავიწყებ იმით, რომ აქტიურ იდეურ ბრძოლას ვაწარმოებ საინტერვენციო, საავანტიურო პოლიტიკის წინააღმდეგ, იდეურ ომს გამოვუცხადებ იმ პოლიტიკას, რომელიც ევროპის მმართველი წრეებიდან ელის საქართველოს „ხსნას“. ამ ბრძოლაში, ამ ომში მე ვიქნები დაუღალავი, დაუთმობელი და უკან დაუხეველი.

რა უჭირს, თითონ შეუძლია ახლა სწეროს, რაც უნდა, მისი მოწინააღმდეგის აზრი კი არ იქნება გაგებულიო,—იტყვიან. მე ვეცდები, რაც შეიძლება, ნაკლები იქნეს ამის თქმის საფუძველიც. მე ვთხოვ თითეულ ჩემ მოწინააღმდეგეს, რომელი პარტიისაც უნდა იყოს, მიგზავნოს თავისი შენიშვნები, შეკითხვები, წერილები. ვთხოვ ყველა არალეგალური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს მიგზავნონ თავიანთი გამოცემები და ის, რის დაბეჭდვაც არ უხერხდებათ ტეხნიკური პირობების გამო. მე მოვიყვან ხოლმე ჩემს წერილებში ყველა ამ მასალებს ან მთლიანათ, ან საყურადღებო ადგილებს იქიდან. ავტორებმა თითონ შემოხაზონ ხოლმე, რაც თითონ მიაჩნიათ საყურადღებოთ. ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ წერილები მანქანაზე იყოს გადაწერილი და, რასაკვირველია, ფსევდონიმებით ხელმოწერილი. მე არ შევცვლი არსად არც ერთ სიტყვას, გავარჩევ არსებითათ თითეულ აზრს. აგერ ხელში მაქვს ნ. ჟორდანიას უკანასკნელი წიგნაკი „ბრძოლის საკითხები“. მე გადავშლი ქართველი საზოგადოების წინაშე თითეულ ფურცელს ამ წიგნაკისას, გავარჩევ სტრიქონს სტრიქონზე, აზრს აზრზე. მე იმედი მაქვს, ამ გზით, ასე თუ ისე, მშრომელ ხალხს საშუალება მიეცემა გაერკვეს, რომელი აზრი, რომელი მიმართულება უფრო ხელსაყრელია საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის.

გოგიტა ფაღავას ქაღალდებში ვინლაცა რენეგატს მეძახის. რენეგატი მოღალატეს ნიშნავს. ის, ალბათ, დარწმუნებულია, რომ საქართველოსთვის მე კარგი არა მინდა რა. მე ამას ვერ ვიტყოდი ვერავისზე. არ მეგულება ისეთი ქართველი, რომ განგებ უნდოდეს საქართველოს დაღუპვა. ყველას თავისი რწმენა აქვს და რაც უნდა ვიწრო კლასობრივ სარჩულზე ქონდეს ეს რწმენა აგებული, გონია, რომ საქართველოს ამის მეტი არა უშველის რა. ჩემ იდეურ ბრძოლაში მე არ წავალ ამიტომ წვრილმანი ლანძღვა-გინების გზით, არ შევეხები არავის პიროვნებას. ჩემი მიზანი იქნება, რომ არაფერი არ დარჩეს გამოურკვეველი საქართველოს საკითხში. ამ თვითგამორკვევით მშრომელ ხალხში ბოლო მოეღება რყევას, გადასვლა-გადმოსვლას, თვალახუჭულ სიარულს, პოლიტიკურ მცირეწლოვანობას.

პოლიტიკური მცირეწლოვნობაა იმის თქმა, რომ მე ამ ახალ გზაზე გვერდს ვუხვევ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს, და ამას ამბობს არალეგალური კონფერენციის რეზოლიუცია. ისე გამარტივებულათ აქვთ წარმოდგენილი არალეგალურ წრეებში საქართველოს დამოუკიდებლობა, თითქო ჯარის გაყვანის მეტი არაფერია საჭირო ამ საკითხის გადასაჭრელათ. სამწუხაროა ეს, მაგრამ უნდა ვთქვა მაინც, რომ ჩვენმა პარტიამ სამი წლის განმავლობაში ვერ მისცა მშრომელ ხალხს ხელმოსაკიდებელი ჩამოყალიბებული იდეოლოგია, აძლევდა მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ აზრებს, ლოზუნგებს. იდეურათ გაღარიბდა, გამოიფიტა იდეური ძალებით მდიდარი პარტია.

ეს არ მოხდებოდა, რომ პარტიას არ დაეკარგოდა მარქსისტული მსოფლმხედველობა ეროვნულ საკითხში, და ეს არ დაეკარგებოდა, რომ შეერჩინა პროლეტარული ბუნება. რასაკვირველია, სადაო არ არის აქ ჩემთვის, რასაც სწერდა „კომუნისტი“ ჩემი წერილის გამო. ნამდვილი პროლეტარული პარტია არ დაიწყებდა საქართველოს ეროვნული უფლების ძებნას ევროპის მმართველ წრეებში. ნამდვილი პროლეტარული პარტია ვერ იფიქრებდა ვერასოდეს, რომ მსოფლიო ისტორიას მარტო საქართველოსთვის სცალია. მაგრამ მე ვერ დავეთანხმები „კომუნისტის“ წერილის ავტორს, რომ ძველი მენშევიზმი და უკანასკნელი დროის მენშევიკური პარტია საქართველოში ერთი და იგივეა. ის ავტორი თითონვე ამტკიცებს ამას ნ. ჟორდანიას ამონაწერებით. როცა ნ. ჟორდანია სწერდა დემოკრატიის და სოციალ-დემოკრატიის შესახებ,—„არც ერთი პარტია არ არის მუშათა პარტიის ისეთი მტერი როგორც დემოკრატია“... „სოციალ-დემოკრატიის მეტოქე და დაუძინებელი მტერი დემოკრატიული პარტიებიაო“,—ეს იყო წმინდა რევოლიუციონური მარქსიზმი. როცა საქართველოს სოციალ-დემოკრატია ეკედლება ევროპის მმართველი წრეების „დემოკრატიას“ ქართველი ერის უფლებების დასაცავათ, ეს არის დავიწყება რევოლიუციონური მარქსიზმის. ნ. ჟორდანიას 1905 წლის იდეური მემკვიდრეობა ამ საკითხში მისაღებია როგორც ჩვენთვის, ისე „კომუნისტისთვის“. სხვა საკითხია რატომ დაიკარგა ეს მემკვიდრეობა თითონ საქართველოს სოციალ დემოკრატიულ პარტიას. ამას მე შევეხები სხვა წერილში და იქ ვეცდები გამოვარკვიო რამდენათ სწორია „კომუნისტის“ ახსნა.*)

ახლა დავუბრუნდები ჩემ მთავარ დებულებას. მე ვამბობდი, რომ საქართველომ თავისი ბედიღბალი უნდა დაუკავშიროს საბჭოთა სისტემას, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს და არა ევროპის მმართველ წრეებს. ჩვენი სოც. დემ. პარტიის არალეგალური კონფერენცია ამბობს, რომ მე გვერდს ვუხვევ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს.

მე მოვითხოვ ჩემი მოწინააღმდეგეებისაგან თითონ ნუ აუხვევენ გვერდს საკითხის მკაფიოდ დაყენებას, ნუ დასჯერდებიან ზოგად ფრაზებს. მე ჩემს წერილებში საკითხი დავაყენე:—**რომელი გზით უფრო უზრუნველყოფილი იქნება საბოლოოთ საქართველოს დამოუკიდებლობა—ინტერვენციით, ანარქიით, აჯანყებით თუ საბჭოთა სისტემით, რა ურჩევნია მუშას და გლეხს—იდგეს მუდამ თოფით ხელში, ელოდეს ყოველ კუთხიდან ომებს, თავდასხმებს, თუ აკეთოს ის, რის გაკეთებაც შეიძლება საქართველოსთვის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში.**

არალეგალურ „ჩვენი ერთობის“ ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილი იყო კაუცკის წერილი. მისი აზრი არ ეთანხმება, ვერ უდგება საქ. სოც.-დემ. პარტიის ტაქტიკას. ეს ტაქტიკა გამოჭრილია სადღეისო იმედებზე.

სოციალ-დემოკრატიული პარტია ქართველ ერს აიმედებს,—აი დღეს, აი ხვალო. ახლა ლაპარაკობენ—ინგლისს საქართველო გამოუყვია და ისე უცვნია რუსეთიო, აგერ ინგლის-რუსეთის კონფერენცია რომ იქნება, საქართველოს საკითხი უთუოთ გადიჭრებაო. ამისთანა იმედების ბურუსში კაცს ეკარგება აზროვნობის უნარი. ის ვეღარ ისაზრებს, რომ ინგლისს თუ საქართველოს გამოყოფა უნდოდა, წინასწარ პირობად დაუყენებდა რუსეთს,—ჯერ საქართველოსთვის დაენებებია თავი. ჯერ ცნობა მთელი საბჭოთა კავშირის და მერე ის პირობა, რომ რუსეთმა საქართველოს თავი დაანებოს—ეს არ ეკარება არც ბავშურ ჭკუას. ვთქვათ, ახლო მომავალ კონფერენციაზე ინგლისმა უთხრა რუსეთს, ხელი გაუშვი საქართველოსო, რუსეთი უარს ეტყვის ამაზე რას იზამს მაშინ ინგლისი, უკან წაიღებს რუსეთის ცნობას, წაეჩხუბება რუსეთს, ომს გამოუცხადებს? არაფერს არ იზამს ამისთანას. რუსეთის ცნობა ინგლისს პირველ რიგში სჭირდება თავისთვის, თავისი შინაური ანგარიშების გასასწორებლათ. ეს სჭირდება ინგლისს თავის საგარეო პოლიტიკისთვისაც. რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა გამოადგება აღმოსავლეთის საკითხებში, გამოადგება საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელთანაც დღითი დღე ულრმავდება უთანხმოება.

ინგლისს ან უნდა გამოეყო საქართველო, მთელი ამიერ-კავკასია, აქ გაეკეთებია თავისთვის კარები აღმოსავლეთისაკენ და შეიარაღებული ძალები მოეყვანა რუსეთის წინააღმდეგ, ან უნდა ეცნო რუსეთი და საქართველო რუსეთის კავშირში, მთელ ამ კავშირთან შეთანხმებით შედგომოდა თავის საქმეების მოწესრიგებას აღმოსავლეთში. ინგლისმა მუშათა მთავრობის ხელმძღვანელობით აირჩია მეორე გზა და არ შეეძლო მოქცეულიყო სხვანაირად. მაკდონალდი ახლა არა თუ არ დაეხმარება საქართველოში აჯანყებას, თანაგრძნობასაც ვერ გამოგვიგზავნის კიდევაც რომ მოხდეს ასეთი ავანტიურა.

ნ. ხომერიკს დაეწერა თეზისები „ისლამი და რუსეთიო“. გავეცანი იქ, სადაც დამწყვდეული ვიყავი. ამ თეზისებში არაფერი არ არის მარქსისტული, სოციალისტური. მაგრამ ერთ ალაგას ნათქვამია:—საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში ხდება ავათ თუ კარგათ ეროვნული ჩამოყალიბებაო. მარტო ეს ერთი სტრიქონია მისაღები მთელს თეზისებში. ეს სტრიქონი არ ეწინააღმდეგება, პირიქით ეგუება, უთავსდება იმ ტაქტიკას, იმ ახალ გზას, რომელზედაც მე მოვუწოდებ საქართველოს მშრომელ ხალხს. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ისე, რომ ხელი კი არ შევუშალოთ, არამედ ხელი შევუწყოთ იმ ეროვნულ ჩამოყალიბებას, რომელიც „ავათ თუ კარგათ ხდება საბჭოთა კავშირის ფარგლებში“.

დანარჩენი, რაც არის იმ თეზისებში,—ევროპის სახელმწიფოების გამოლაშქრება მოსკოვზე, ოსმალეთის დახმარებით შეიარაღებული მოდგომა საქართველოს საზღვრებზე,—ეს ხელს შეუწყობს ჩვენი მილიონ ნახევარი ერის ფიზიკურათ განადგურებას და არა ეროვნულ ჩამოყალიბებას.

ამაზე მესაუბროს და მეკამათოს, ვისაც უნდა წერილებში, მოხსენებებზე, ლექციებზე. მე ვიქნები პასუხისმგებელი, რომ პირადათ გამოსვლისთვის არავის არაფერი დაუშავდეს. მაგრამ, ვიცი ამ პასუხისმგებლობას არავინ დასჯერდება და შიში მაინც ექნებათ. ამიტომ სჯობია, თუ წერილობით გამომცემენ, გამომიგზავნიან ხოლმე თავის აზრებს. ამას, როგორც ზემოთ ვთქვი მოვიყვან ხოლმე წერილებში და მოხსენებებზედაც.

ამ გზით მე დავიცავ იდეური ბრძოლის თანასწორობას, რომ საქართველოს საკითხში დღის სინათლეზე იქნეს გამოტანილი ყოველნაირი მიმართულება, თითეული აზრი, თითეული მიხვრა-მოხვრა ამა თუ იმ მსოფლმხედველობის.

მკითხველი, მსმენელი მიხვდება, სად არის სიმართლე სად არა, თავმოყვარეობას არ ამოვეფარები და თითონ დავუკრავ ტაშს, ვინც დამამარცხებს. თავმოყვარეობის გულისათვის მე არ დავუშვებ გათიშვას იმ წრეებში, რომლებიც გაემიჯნენ საქ. სოც. დემოკრატიულ პარტიას, ნიადაგს არ შევქმნი გათიშვისთვის საქართველოს მშრომელ ხალხში—ჩემი ცდა იქნება, ხელი აელოს პოლიტიკურ ბრძოლას, რომელიც გადაიქცა ავანტიურათ და მთელი ჩვენი გაერთიანებული ძალა მიტანილი იქნეს კულ-

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 38.

საქართველოს ცაკის მეორე სესია

მეოთხე სხდომა.

თუშ-ფშავ-ხევსურეთის შესახებ.

(ამხ. ბრეგაძის მოხსენება)

ამხ. ბრეგაძე ცაკის წევრებს აუწყებს თუშ-ფშავ-ხევსურეთის გეოგრაფიულ პირობებს, რომელნიც შეუძლებლად ხდიან ამ ჩამორჩენილ კუთხეებთან ეკონომიურ-კულტურულ ურთიერთობას. უგზოობის გამო მოუხერხებელი ხდება მისვლა-მოსვლა და ბრძოლა იმ ჩამორჩენილობასთან, რომელიც სტანჯავს ამ ბედშავ ხალხს. თუშ-ფშავ-ხევსურეთი დარჩა ისეთივე როგორიც იყო, აქ არ შეუხნათებია საბჭოთა სინათლეს. დედაკაცი ისეთივე უფლებრივ-ეკონომიურ პირობებშია, როგორშიაც იყო. სრული უპატივცემლობა ქალის პიროვნებისადმი და ეკონომიურად სრული მისი დამონავება. მომხსენებელი ასწერს ქალის მდგომარეობას მშობიარების დროს, როდესაც იგი უპატრონოდ მიტოვებული განმარტოვებულ ქოხსამყუდროში მოუვლელობით სულს ლევს.

შემდეგ მომხსენებელი ეხება სისხლის ალების ჩვეულებას, რომელიც აგრეთვე დიდათ ავიწროვებს ამ ხალხს. მკვლელობით დაზარალებულნი დამნაშავის დასასჯელად არასოდეს არ მიმართავენ სასამართლოს, ისინი ან იმავე გზით (მკვლელობით) იძიებენ შურს ან მოურიგდებიან მკვლელს მოკლულის ანაზღაურების შესახებ ქონებით (ცხვრის ჯოგით, საქონლით). თუ მკვლელი ღარიბია და საშუალება არ აქვს გადაიხადოს, იძულებული ხდება ქოხში ჩაიკეტოს და გარეთ არ გამოვიდეს. მთელი წლების განმავლობაში არა მარტო თვით მკვლელი, არამედ მისი ოჯახი სრულიად გარიყული და მიტოვებულია მთელი თემისგან.

თუშ-ფშავ-ხევსურეთს ავიწროებს აგრეთვე ქისტების ხშირი რბევა. მათი თავდასხმის შიშით ისინი იძულებული ხდებიან დასახლკარდენ მიუვალ მთის წვერზე, სადაც დაბლობ ადგილებიდან ეზიდებიან საზრდო-ნამუშევარს.

გასაბჭოებამდე ხევსურეთში ერთი სკოლაც არ არსებობდა. ამ ჟამად არის ორი სკოლა, სადაც სწავლება იკისრა ერთმა გამოცდილმა მასწავლებელმა თავისი მეუღლით. სკოლა დიდ ნაყოფს იძლევა, ხევსურების ბავშვები იშვიათი ნიჭის პატრონი ყოფილან—მასწავლებლების მოწმობით.

საქართველოს ამ მივარდნილ კუთხეს სჭირდება განსაკუთრებული ყურადღება. პირველ რიგში ამხ. მომხსენებელი მოითხოვს: დუშეთიდან ხევსურეთამდე საურმე გზის გაყვანას, სკოლების გამრავლებას, მაგარ ადმინისტრაციის დაწესებას, ტელეფონის ხაზის გაყვანას და ქისტების განიარაღებას.

ამხ. ბრეგაძის მოხსენების გამო ამხ. ლომინაძეს შეაქვს წინადადება საკითხი თუშ ფშავ-ხევსურეთის შესახებ სასწრაფოდ შეტანილ იქნეს ცაკის პრეზიდიუმში განსახილველად. წინადადება მიღებულ იქნა. შემდეგ სესია ისმენს პროექტების განსახილველად არჩეულ კომისიების მოხსენებას. მოხსენების დასასრულ ყველა პროექტი მიღებულ იქნა კანონად.

ვიდრე სესია შეწყდებოდა ამხ. ცხაკაია მოუწოდებს სესიის წევრებს უკრაინის მსგავსად საქ. ცაკთან დაარსებულ იქნას ლენინის სახელობის უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომიტეტი. წინადადება ერთხმად მიღებულ იქნა.

სესიის უკანასკნელი სხდომა ღამის 11 საათზე დამთავრდა.

ამხ. ილიკო აბაიაძის ხსოვნას

(მენშევიკების მიერ მისი ვერაგულად დახვრეტის 3 წლის გამო გამო)

რევოლიუცია ასობით და ათასობით ითვლის თავის მსხვერპლს, რომელთა მოგონება ბრძოლის წყურვილს აძლიერებს თანამედროვე რევოლიუციონურ თაობაში. ერთი ასეთი მსხვერპლი იყო ამხ. ილიკო აბაიაძე, რომელიც ქ. ხაშურში 1921 წლის 3 მარტს დახვრიტეს მენშევიკთა გვარდიელებმა.

ამხ. ილიკო აბაიაძე იყო წევრი საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის ხაშურის არალეგალურ ორგანიზაციისა. ჯერ კიდევ 1918 წელს მენშევიკების ბატონობის შავი პერიოდში, ის დგება კომუნისტურ—კავშირის რიგებში და სხვა ამხანაგებთან ერთად—იბრძოდა ისე, როგორც შეფერის კომუნისტური რწმენით და შეგნებით შეიარაღებულ ახალგაზრდას.

ამხ. ილიკომ განიცადა მენშევიკური მთავრობის დევნა და სუსხი—მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა ის მტკიცედ და ერთგულად ემსახურებოდა მშრომელთა განთავისუფლების საქმეს. მასში არ არსებობდა არავითარი კერძოობითი, პირადი. ის მთელი თავისი არსებით მისცემოდა კომუნისტურ კავშირს და ცდილობდა მის გაძლიერებას. ძლიერი იყო მასში იმედი მომავლისა, თუმცა ის 1918 წლიდან ტფილისში იმყოფებოდა მაგრამ ხაშურის არალეგალურ ორგანიზაციასთან კავშირი მაინც არ გაუწყვეტია, შეძლების დაგვარად არ აკლებდა მას თავის ხელმძღვანელობას. ამხ. ილიკოს ხშირად მოჰქონდა ტფილისიდგან სხვადასხვა დირექტივები და არალეგალური ლიტერატურა და ავრცელებდა მას ხაშურის დეპოში, რომელიც მას ასე გატაცებით უყვარდა.

1919 წელს ამხ. აბაიაძის სახლი წარმოადგენდა კომუნისტურ კავშირის არალეგალურ მუშაობის ბაზას, იქ ხდებოდა კრებები და სხდომები —აქ იყრიდენ თავს ყველა პასუხისმგებელი მომუშავეები.

ყოველივე ამას მენშევიკური ჟანდარმერია თვალყურს ადევნებდა. ამხ. ილიკოში ისინი ხედავდენ მათი „დამოუკიდებელი საქართველოს“ სასტიკ მტერს, რის გამოც მას ხშირად ატუსაღებდნენ.

მოახლოვდა 1921 წელი... საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ფრიალებდენ აჯანყების დროშები; ამასთან ერთად მოიწევს წინ რუსეთის რევოლიუციონური პროლეტარული წითელი არმია ამიერ-კავკასიის მშრომელთა განსანთავისუფლებლად. 1921 წ. 25 თებერვალს წითელ არმიის მოწინავე ნაწილები იკავებენ ტფილისს. მენშევიკური მთავრობა უკან იხევს გორის მიმართულებით და ცეცხლით და მახვილით უმასპინძლდება მშრომელთა ინტერესებისათვის თავდადებულ მებრძოლებს.

2 მარტს მენშევიკების ჯალათებმა ამხ. ილიკო აბაიაძეც დაატუსაღეს. ამხ. ილიკო გაჰყავთ სახლიდგან გვარდიელებს მოტყუილებით; გვარდიის შტაბში მიჰყავთ და სატუსაღოში ერთი დღის ყოფნის შემდეგ 3 მარტს საღამოთი ის ვერაგულათ იქნა დახვრეტილი. დაიქცა უმანკო სისხლი ახალგაზრდა მებრძოლისა, მაგრამ მისი ჯალათების აღსასრულიც მოახლოებული იყო.

ამხ. ილიკო ღირსეულად, სახელოვნად მოკვდა. მისი სახელი წითელი ასოებით არის შეტანილი იმ გმირთა სიაში, რომელთაც დასდეს თავი პროლეტარულ რევოლიუციის სადარაჯოზე.

ხაშურის მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა ქედს იხრის, ფიცს სდებს მის გაცივებულ ცხედრის წინაშე, რომ ის ბოლომდე იბრძოლებს იმ იდეალის საბოლოო განსახორციელებლად, რომლისთვისაც თავი დასდო ამხ. ილიკო აბაიაძემ. დაკარგულ მებრძოლის ხსოვნა გვავალებს ამას და ჩვენც პირნათლად მოვიხდით ჩვენს ვალს პროლეტარული რევოლიუციის წინაშე.

ემზ. ლაქტიონოვა.

ტურულ-ეკონომიური ამშენებლობის ფრონტზე. სამი წლის განმავლობაში ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით ამ ფრონტს, ამ ცოცხალ საქმეს.

ვერც ერთი ძალაუფლება ვერ დაუშვებს ამშენებლობის საქმეში თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, რომელიც იბრძვის მისი ჩამოგდებისთვის. საქართველოს სოციალ-დემოკრატია ამ ბრძოლაში მეთაურობდა ქართველობას, როგორც ეროვნულ ერთეულს. ბრძოლას არ ჰქონდა კლასობრივი სარჩული. ქართველობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იმიჯნებოდა სხვა ერებისაგან. ჩვენი ტაქტიკა ეროვნული ბრძოლის ეწინააღმდეგებოდა ერის ინტერესებს.

ჩემ ახალ გზაზე ერთი ხაზი მიდის იქით, რომ გათავდეს ჯიუტობის ტაქტიკა, ავანტიურისტული ბრძოლა, რომ მიღებული და ცნობილი იქნეს საბჭოთა სისტემა, მეორე ხაზი მიდის იქით, რომ მთელი ქართველობა, მთლიანათ ჩაბმული იქნეს კულტურულ-ეკონომიურ ამშენებლობაში.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვერავერს ვხედავ ან არაფრის დანახვა არ მინდა საქართველოს საკითხის გარეშე. ეს საკითხი არ არის ჩემთვის თვით მიზანი, როგორც გონია ერთი წერილის ავტორს გაზ. „მუშაში“. მაგრამ მე ვერ დავეთანხმები ამ ავტორს, რომ საქართველოს საკითხი მარტო საშუალება და სხვა არაფერი. რისი საშუალება, რა უნდოდა ეთქვა ამითი „მუშის“ წერილის ავტორს?

მარქსიზმი ასე არ ამარტივებს ეროვნულ საკითხს. მარქსი არ იტყოდა, რომ ერი საშუალებაა, არ იტყოდა რომ ერი უნდა შეეწიროს მსოფლიო რევოლიუციას. მარქსის აზრი იყო,—ჩვენ ხელს უნდა ვუწყობდეთ ეროვნულ მოძრაობას, თუ ის სარჩულათ არ იღებს საერთაშორისო რეაქციას, და წინააღმდეგი უნდა ვიყოთ ამ მოძრაობის თუ ის აფერხებს საერთაშორისო რევოლიუციას.

მარქსი დღეს არ დაუჭერდა მხარს საქართველოს „[illegible]“ [illegible], რომელიც ევროპის მმართველ წრეებში ეძებს მფარველობას. მაგრამ მარქსი არ იტყოდა, რომ მსოფლიო რევოლიუციამ საქართველო უნდა გაიხადოს საშუალებათ და გადაიაროს იმის გულმკერდზე. არა, საქართველო იბრძოლებს მსოფლიო რევოლიუციისათვის პროლეტარული დიქტატურის დროშით და აყვავდება ეროვნულადაც. ეს არის მარქსიზმი.

მარქსი სწერდა ერთ ალაგას:—„ხალხი, რომელსაც არასოდეს არ ჰქონებია თავისი საკუთარი ისტორია, რომელიც თავისი განვითარების პირველ საფეხურზევე სხვის მორჩილებაში ჩავარდნილა, ან სხვისი ბატონობის ქვეშ დაქვეითებულა,—ამისთანა ხალხს სასიცოცხლო უნარი არ აქვს და ვერასოდეს ვერ ეღირსება ის დამოუკიდებლობასო“.*)

საქართველოზე ვერ იტყოდა ამას მარქსი. საქართველოს აქვს მდიდარი ისტორია, უძველესი კულტურა და არავითარ ძალთა შეჯახებას ის არ დაუქვეითებია განვითარების პირველ საფეხურამდის. ბევრჯერ და ხანგრძლივათ ჩაუცმევია ისტორიას დასაცხრომი პერანგი (смирительная рубашка) საქართველოსთვის. მისი სხეული ითენთებოდა ამ პერანგის თასმებში, ცოცხალი ეროვნული სული კი გადადიოდა საუკუნიდან საუკუნეში,—მე არ მოვკვდები, სულს რა მოკლავსო,—ეუბნებოდა ის ისტორიას.

ეს ცოცხალი სული შეინახება, შეინახავს თავის შემოქმედებით ძალებს, გაივლის ამ გარდამავალ ხანას და მიეგებება მსოფლიო რევოლიუციას, თუ საქართველო არ მიეკედლება და საშუალებათ არ გაუხდება ევროპის მმართველ წრეებს, თუ ის, პირიქით, მზათ იქნება შეებრძოლოს ამ მმართველ წრეებს, როგორც სრულუფლებიანი წევრი საბჭოთა კავშირისა.

ს. დევდარიანი.

---

*) „Archiv der Socialwissenschaft und statistik, 1910 წ. ნოემბერი“. წერილიდან „Marx und Bakunin“.

ვასრულებთ ლენინის აღთქმას

საუბარი რუსეთის კომპარტიის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგესთან.

მოსკოვი. 29 თებერვალი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს რ. კ. პ. ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგემ ამხ. იაკოვლევმა აღნიშნა, **რომ მობილიზაციით გაწვეული იქნება 3.000 პარტიული მუშაკი სოფელში მუშაობის გასაძლიერებლად, კოოპერაციის, კულტურულ და პარტიულ მუშაობის მკვიდრ ნიადაგზე დასამყარებლად.** კომუნისტებმა სოფელში უნდა მოიპოვონ გლეხების ნდობა, გახდენ სოფლის წინამძღოლებათ, კოოპერაციის, სათემო აღმასკომების და იაჩეიკების ხელმძღვანელებათ. მობილიზაცია უკვე დაიწყო თითქმის ყველგან. ადგილებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, საგუბერნიო კომიტეტები სერიოზულად ეპყრობიან მობილიზაციის საქმეს. სოფელში გასაგზავნ ამხანაგებს უნდა ჰქონდეს მომზადება არა ნაკლებ მაზრის მუშაკისა.

საგუბერნიო კომიტეტებმა უნდა შეარჩიონ ამხანაგები და შერჩევის უფლება არ უნდა მისცენ დაწესებულებებს, ვინაიდან უკანასკნელები არასოდეს არ მისცემენ გამოსადეგარ მუშაკებს. თვითეულ გუბერნიას ხვდება საშუალოთ 30 კაცი. უკანასკნელები უნდა იქნან დასახელებულნი სამაზრო კომიტეტების მიერ და დამტკიცებული საგუბერნიო კომიტეტების მიერ. სოფელში გასაგზავნი კომუნისტები უნდა გრძნობდენ მომავალ მუშაობის მნიშვნელობას სოფელსა და ქალაქს შორის კავშირის დამყარების საქმეში. მობილიზაციის გამო უნდა იქნას გაძლიერებული კულტურული შეფობა სოფელზე.

„კომუნისტების მობილიზაციით სოფელში გასაგზავნად, ვასრულებთ ლენინის აღთქმას სოფლისა და ქალაქს შორის კავშირის დამყარების შესახებ“.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ბირჟაზე

(2—3 მარტი)

ჩერვონცები — —	4.400	მილ.
გირვ. სტერლინგ. ეფექტ.	4.025	„
„ ჩეკები —	3.810	„
დოლარი ეფექ. —	959	„
„ ჩეკები —	890	„
ოსმ. ქაღ. ლირა —	583	„
იტალიური ლირა —	40	„
ფრანგული ფრანკი —	40	„
საბჭ. ფულის ნიშნები —	16,5	„

ბიულეტინი

ა. კ. სახ. ფინკომთან არსებული სავალუტო კურსის დამწესებელი კომისიისა.

(2—3 მარტი)

1 ოქროს მანეთი	440.000	ათ.
1 საბანკო ვერცხ. მან.	400.000	„
1 ვერცხ. მან. ხურდა	360.000	„

სურსათის ფასები.

(2 მარტი)

პური 1 ხარ.—35000 ათასი, პური 2 ხარ.—27,000 ათასი, ძროხის ხორცი—130,000 ათასი, ღორის ხორცი 130000 ათ. შაქარი რაფინადი 168.000 ათ., ფხვნილი შაქარი—122,000 ათ., კარტოფილი—8,500 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები

(2—3 მარტი)

პური 1 ხ.—50000 ათ., პური 2 ხარ.—30000, ძროხის ხორცი 150.000 ათ. ღორის ხორცი 150.000 ათ., შაქარი რაფინ. 175.000 ათ., შაქარი ფხვნილი 125,000 ათ., კარტოფილი 15.000 ათ.

ბირჟის მიწოდება.

მავთულ მარტენის, კონიაკი (ძველი), ოდესის ქარხნების სასწორები და მეტრიული გირები, „ცენტროსოიუზ“-ის ჩაი; ცეილონის და ჩინეთის ჩაი, ყავა „მოკკო“, განჯის შაბი, იტალიური გოგირდი ფხვნილი, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, „სახარომტრესტ“-ის პროდუქცია, „ურალმეტ“-ის პროდუქცია, შვეიცარული ყველი, კაუსტიური სოდა, რუს. მანუფაქტურა, კვებრაჰოს ექსტრაქტი, ხორბალი და პურეული, ტყავის ლედები, ქიმიური ნაწარმოები, საშენებელი ლურსმნები, ფანჯრის მინა, ასანთი რუსული, სახ მეურნ. საბჭ. საპნის და საფეიქრო ტრესტის ნაწარმოები (საპონი 1 ხარ. და ტუალეტის, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), ცემენტი და ეტერნიტი, ერევნის მატყლი (გარეცხილი), ქინაქინა, გიგროსკოპიული ბამბა, ფანქრები, გაზეთის ქაღალდი, ტომრები, ნიშადური, შაბიამანი, კარტოფილის ფქვილი, 1 ხარ., ძირტკბილა, კარდონი, ადგილობრივი ხორბალი, გრეჯის წითელი ღვინო.

ბირჟის მოთხოვნილება.

რუს. მანუფაქტურა, შაბიამანი, შაქარი რაფინადი დაფხვნილი, ქვა-მარილი ნახიჩევანის, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, ყუბანის ფქვილი, ასანთი რუს., გოგირდი, ნედლი ტყავეულობა, პორტლანდიის ცემენტი, ყუბანის სკანდიტერო ფქვილი, თუჯის და რკინის ნატეხი.

ოფიციალური გარიგებანი

ასანთი „აეროპლან“-ი. 15 მ. 70 კ. და 15 მ. 30 კ. ფუთში, გადახდილი აქციზით, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება

საქონლის ბაზრებს შესამჩნევი ცვლილება არ ეტყობა.

ვალუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების კურსი განაგრძობს მომატებას.

საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ამიერ-კავკასიაში რწმუნებულის სამმართველოს მოქმედება.

(1923 წ. ოქტომბერი—დეკემბერი).

საგარეო ვაჭრობის ეკონომიური კონიუნქტურა.

1923 წლის ოქტომბერ—დეკემბრის განმავლობაში ფასების კონიუნქტურას ამიერ-კავკასიაში, წინა პერიოდთან შედარებით, შესამჩნევი ცვლილება არ განუცდია. ჩერვონეცის მანეთის სყიდვითი ძალა, სახელ. ბანკის ტფილისის კანტორის საქონლის საერთო ინდექსის შედარებით 1 ოქტომბერს წარმოადგენდა 45 პროც. 1 ნოემბერს—51 პროც. და 1 დეკემბერს—54 პროც. თუ ზოგიერთ საქონლის ფასებს შევადარებთ 1913 წლის ფასებს, მაშინ დავინახავთ, რომ გაძვირდა ბამბა, თამბაქო, მატყლი, ნაწლევები, კეროსინი (მათ შორის უფრო საგრძნობლად გაძვირდა მატყლი), დანარჩენი საქონელი—კი გაიაფდა, უფრო მეტად—ნედლი ტყავეულობა, თხილი, ღვინო, ჯაგარი, საარსებო საგნები.

ჩვენი საგარეო ვაჭრობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ვალიუტის კურსს.

შემდეგი ცხრილი გვაძლევს დაახლოებით სტერლინგის კურსის მდგომარეობას.

გირვ. სტერ. კურსი ჩერვონც. 1923 წ.

	15|IX	15|X	15|XI	15|XII
ტფილისი	9,57	8,89	9,38	9,82
მოსკოვი	9,42	9,15	9,48	9,40
ლონდონი	11,70	11,42	—	11,40

აქედან სჩანს, რომ გირვ. სტერლინგის კურსს (ჩერვონცებში) მოსკოვში და ლონდონში ეტყობა დაცემის ტენდენცია, ხოლო ტფილისში—მერყევია. საზოგადოთ, ჩერვონეცის კურსი უფრო მტკიცდება. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საორგანიზაციო აპარატის მოწყობას საზღვარგარეთ. ამ მხრით შეიძლება ითქვას, რომ საზღვარგარეთის სავაჭრო აპარატები ჯერჯერობით სუსტია.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(2—3 მარტი)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.—	4.400.000	56 კ.—	246.400.000
2 კ.—	8.800.000	57 კ.—	250.800.000
3 კ.—	13.200.000	58 კ.—	255.200.000
4 კ.—	17.600.000	59 კ.—	259.600.000
5 კ.—	22.000.000	60 კ.—	264.000.000
6 კ.—	26.400.000	61 კ.—	268.400.000
7 კ.—	30.800.000	62 კ.—	272.800.000
8 კ.—	35.200.000	63 კ.—	277.200.000
9 კ.—	39.600.000	64 კ.—	281.600.000
10 კ.—	44.000.000	65 კ.—	286.000.000
11 კ.—	48.400.000	66 კ.—	290.400.000
12 კ.—	52.800.000	67 კ.—	294.800.000
13 კ.—	57.200.000	68 კ.—	299.200.000
14 კ.—	61.600.000	69 კ.—	303.600.000
15 კ.—	66 000.000	70 კ.—	308.000.000
16 კ.—	70.400.000	71 კ.—	312.400.000
17 კ.—	74.800.000	72 კ.—	316.800.000
18 კ.—	79.200.000	73 კ.—	321.200.000
19 კ.—	83.600.000	74 კ.—	325.600.000
20 კ.—	88.000.000	75 კ.—	330.000.000
21 კ.—	92.400.000	76 კ.—	334.400.000
22 კ.—	96.800.000	77 კ.—	338.800.000
23 კ.—	101.200.000	78 კ.—	343.200.000
24 კ.—	105.600.000	79 კ.—	347.600.000
25 კ.—	110.000.000	80 კ.—	352.000.000
26 კ.—	114.400.000	81 კ.—	356.400.000
27 კ.—	118.800.000	82 კ.—	360.800.000
28 კ.—	123.200.000	83 კ.—	365.200.000
29 კ.—	127.600.000	84 კ.—	369.600.000
30 კ.—	132.000.000	85 კ.—	374.000.000
31 კ.—	136.400.000	86 კ.—	378.400.000
32 კ.—	140.800.000	87 კ.—	382.800.000
33 კ.—	145.200.000	88 კ.—	387.200.000
34 კ.—	149.600.000	89 კ.—	391.600.000
35 კ.—	154.000.000	90 კ.—	396.000.000
36 კ.—	158.400.000	91 კ.—	400.400.000
37 კ.—	162.800.000	92 კ.—	404.800.000
38 კ.—	167.200.000	93 კ.—	409.200.000
39 კ.—	171.600.000	94 კ.—	413.600.000
40 კ.—	176.000.000	95 კ.—	418.000.000
41 კ.—	180.400.000	96 კ.—	422.400.000
42 კ.—	184.800.000	97 კ.—	426.800.000
43 კ.—	189.200.000	98 კ.—	431.200.000
44 კ.—	193.600.000	99 კ.—	435.600.000
45 კ.—	198 000.000	1 მ.—	440.000.000
46 კ.—	202.400.000	2 მ.—	880.000.000
47 კ.—	206.800.000	3 მ.—	1.320.000.000
48 კ.—	211.200.000	4 მ.—	1.760.000.000
49 კ.—	215.600.000	5 მ.—	2.200.000.000
50 კ.—	220.000.000	6 მ.—	2.640.000.000
51 კ.—	224.400.000	7 მ.—	3.080.000.000
52 კ.—	28.800.000	8 მ.—	3.520.000.000
53 კ.—	33.200.000	9 მ.—	3.960.000.000
54 კ.—	27.600.000	1 ჩერვ.	4.400.000.000
55 კ.—	24.000.000		

კოოპერაცია

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია სიღნაღის მაზრაში

სიღნაღის მაზრა თავისი სიმდიდრით და ბუნების სიუხვით განთქმულია მთელ საქართველოში. აქ რომ იტყვიან ბუნებას მართლა კალთა დაუბერტყია. განვითარებულია მეურნეობის ყველა დარგები. მოჰყავთ თამბაქო, ღვინო, ბამბა, ხორბლეულობა და სხვა ადგილობრივი მიწის მუშები მისდევენ აგრეთვე მესაქონლეობას, მეცხვარეობას, მეღორეობას და სხვა. საერთოდ სიღნაღის მაზრა ეკონომიურად დიდ ღირებულებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა ადგილობრივი მიწის მუშები შედარებით ბუნების სიუხვესთან, ღარიბათ სცხოვრობენ. ეს აიხსნება ერთის მხრივ საერთოდ სოფლის ეკონომიურ ჩამორჩენილობით და მეორეს მხრივ გლეხთა მიერ მეურნეობის პრიმიტიული წესით წარმოების გამო და მეურნეობის ნაწარმოების გამსაღებელი აპარატის უქონლობით, რის გამო გლეხის ნაწარმოები აღწევს მომხმარებელს მხოლოდ უამრავ შუამავლების საშუალებით. მაგრამ როგორც ეტყობა ამ მოვლენას ბოლო ეღება. იანვრის ბოლო რიცხვებში ამ მაზრის ორივე ნაწილში, როგორც ალაზნის გაღმა ისე გამოღმა მხარეს ხდებოდა მიწის მუშათა კრებები სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ამ-ბათა დასაარსებლად.

მაზრაში დიდი მოსავალი იცის თამბაქომ. ძველათ აქ მოჰყავდათ რამოდენიმე ასიათასი ფუთი თამბაქო, მაგრამ შემდეგ ეს კულტურა დაეცა და მისი ადგილი დაიჭირა ხორბლეულობის თესვამ. ეს ორი უკანასკნელი წელია რაც მიწის მუშებმა კვლავ დაიწყეს თამბაქოს მოყვანა და შედარებით კარგ შედეგსაც მიაღწიეს.

მეთამბაქოთა შეკავშირებას კოოპერატიულ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობაში დიდი შედეგი შეუძლია მოიტანოს. მეთამბაქოეობა განსაკუთრებით განვითარებულია ქიზიყში და ალაზან გაღმა მხარეს განსაკუთრებით კი ვარდისუბან-ყარსუბნის თემებში, ლაგოდეხში და ბაისუბნის თემში. ამ რაიონებში მეთამბაქოეთა შეკავშირება დღიურ კითხვათ გადაიქცა მეთამბაქოეთათვის. 30 იანვარს ა. წ. მოხდა ალაზან გამოღმა მხარის მეთამბაქოთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო 250-დე მეთამბაქოე. „წარმოკავშირი“-ს ინსტრუქტორმა გააკეთა ვრცელი მოხსენება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ. მან აღნიშნა თუ რა მნიშვნელობა აქვს მეურნეთა ცხოვრებაში აღნიშნულ კოოპერაციის განვითარებას და მოუწოდა მეთამბაქოეებს შეკავშირებისაკენ, რათა ძლეულ იქნეს ყოველგვარი დაბრკოლებანი მეურნეთა ცხოვრებაში.

ერთხმათ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ, დაადგინა, რომ მხოლოდ აღნიშნულ კოოპერაციის განვითარებას შეუძლია ჩვენი სოფლის მეურნეობის გამოყვანა იმ კრიზისიდან და დაქვეითებიდან, რომელსაც განიცდის იგი დღეს. ამ ტიპის კოოპერაციის განვითარების გარეშე შეუძლებელია ერთის მხრივ მეურნეობის გაუმჯობესება და მეორეს მხრივ ამ მეურნეობის ნაწარმოების ნორმალურ პირობებში გასაღება. ამისათვის ყრილობა სიამოვნებით ხვდება ყოველივე ნაბიჯს ამ მხრივ გადადგმულს და თავის მხრივაც ყოველივე დახმარებას აღუთქვამს, რომელიც კი დააჩქარებს, ამ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაარსებას, ჩამოაყალიბებს და ააყვავებს. კერძოდ ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რომ დღევანდელი მეთამბაქოეთა ყრილობა გადიქცეს ქიზიყის რაიონის მეთამბაქოეთა კოოპერატიულ ამ-ბის დამფუძნებელ კრებათ“. ამ რიგად ამ ყრილობაზე გადაწყდა მეთამბაქოეთა ამ-ბის დაარსება.

მიღებულ იქნა წესდება და ახალ ამ-ბას მიეცა სახელწოდება: „ლენინის სახელობის მეთამბაქოეთა კოოპერატიული ამ-ბა „კახეთის თამბაქო“. ყრილობის შემდეგ 200-დე მეთამბაქოე ჩაეწერა ამხანაგობაში წევრათ. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი გაზეთი „სიმართლე“ ღირსეულად შეხვდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობის საკითხს და სპეციალური წერილები უძღვნა მის განვითარებას. ამ ბა დაარსდა აგრეთვე 8 თებერვალს ალაზან გაღმა მხარეს ვარდისუბან—ყარსუბნის რაიონში (ყოფილ ვორონცოვკის) „სიმართლე“-ს სახელწოდებით. აღნიშნულ ამხ შიც 200-დე მეთამბაქოე ჩაეწერა. მეურნეობის სხვა დარგში მომუშავეებმაც დაიწყეს შეკავშირება.

საინტერესოა მეაბრეშუმე ქალთა ყრილობა სიღნაღში 8 თებერვალს, რომელსაც დაესწრო 180 მეაბრეშუმე ქალი. ამ ყრილობაზე გადაწყდა მეაბრეშუმეთა ამ-ბის დაარსება და ახალ ამ ბას უწოდეს „ქალთა შრომა“. 6 თებერვალს მოხდა ყრილობა მებამბეთა, რომელთაც შექმნეს ამ-ბა შოთა რუსთაველის სახელობის „ქიზიყის ბამბა“-ს სახელწოდებით. 10 თებერვალს კი დაარსდა მთელი სიღნაღის მაზრის მასშტაბით მეფუტკრეთა ამ-ბა „თაფლის წყარო“. აღნიშნული ამ-ბის გამგეობა უკვე შეუდგა მუშაობას და მოკლე ხანში სურს მოაწყოს ლაგოდეხში სკების სახელოსნო. საქმე ის არის რომ ფუტკრის მოვლას მაზრაში ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული. თითქმის ყველას ფუტკარი გეჯებში ჰყავთ. ახლად დაარსებულ ამ-ბას კი სურს ახალი სისტემის (დადან-ბლატის) სკები დაამზადოს სახელოსნოში და მიაწოდოს წევრებს და აგრეთვე მთელ საქართველოს მეფუტკრეებს.

აღნიშნულ ამ-ბამ განცხადებით მიმართა „წარმოკავშირი“-ს გამგეობას ასი (100) ჩერვონეცის კრედიტის გახსნის შესახებ ამ მიზნისთვის. წარმოკავშირის გამგეობას დაუკმაყოფილებია ამ-ბის თხოვნა და ეჭვი არ არის ახლო მომავალში მეფუტკრეთ საშუალება მიეცემათ იაფათ შეიძინონ ახალი სისტემის სკები, რაც მათ ნაწარმოებს რამოდენიმეთ გაზრდის. ზემო დასახელებული ამ-ბანი წევრად შევიდნენ „წარმოკავშირში“, როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრში და მისი დახმარებით უკვე შეუდგნენ პრაქტიკულ მუშაობას. მეთამბაქოეთა ამ-ბმა იქონიეს მოლაპარაკება თამბაქოს დამზადების შესახებ, რაც დადებითად გადაწყდა და უკვე მუშაობას შეუდგნენ. მებამბეთა ამხანაგობაც შეუდგა ბამბის თესლის და საჭირო ავანსის მიღებას.

სოფლის მეურნენი არა კმაყოფილდებიან ზემო აღნიშნულ დარგებით და ჩვენ მოწმენი გავხდებით ახალ ამ-ბების შექმნისა მესაქონლეობა-მერძეობაში, მეღორეობაში და სხვა.

ლ.

მეცნიერება და ტეხნიკა

ვარსკვლავების კლასიფიკაცია.

იმისათვის, რომ გავერკვეთ ამ მრავალრიცხოვან ბრწყინავ წერტილებში ცის კაბადონზე, ჩვენ უნდა მოვნახოთ რაიმე თვისება, რომლის მიხედვითაც დავყოფთ ვარსკვლავებს ჯგუფებათ და კლასებათ, რომ გამოვიკვლიოთ ჯერ ცალკე ჯგუფები და ამით შევიმსუბუქოთ ამოცანა. რა ნიშანის მიხედვით დავყოფთ ჩვენ ვარსკვლავებს კლასებათ? ამ ნიშნათ არ შეიძლება ჩაითვალოს მათი სინათლის სიძლიერე, რადგან ეს დამოკიდებულია მანძილზე. ჩვენ არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ვარსკვლავებს ერთნაირი სიძლიერის სინათლე აქვთ. შესაძლოა არსებობენ უფრო დიდი სინათლის მქონე ვარსკვლავები, რომლებიც ჩვენ სუსტად გვეჩვენებიან იმიტომ, რომ შორს არიან ჩვენგან.

მეორე, ყველაზე უფრო შესწავლილი თვისება არის ვარსკვლავების ფერი, მათი ე. წ. სპექტრალური *) თავისებურობანი. რომ სპექტროსკოპის საშუალებით შევისწავლოთ ვარსკვლავების სინათლე, სხვადასხვა სურათს მივიღებთ. მეცნიერები მრავალი წლების განმავლობაში ადევნებდენ თვალყურს ვარსკვლავებს, შეისწავლეს მრავალი ათასი ვარსკვლავი. ამ მრავალ ათას ვარსკვლავებს შორის მათ აღმოაჩინეს მრავალი ერთნაირ სპექტრიანი (ან მსგავსი სპექტრებით) და შეაერთეს ისინი ჯგუფებათ. ასეთი კლასიფიკაციები არსებობენ მრავალი. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ქ. გოვარდის (ამერიკა) უნივერსიტეტის მიერ გამომუშავებული კლასიფიკაცია. ამ კლასიფიკაციის მიხედვით ვარსკვლავები თავისი სპექტრის მიხედვით იყოფიან 11 მთავარ კლასად, რომლებსაც აღნიშნავენ ლათინური ანბნებით A (ა), B (ბ), F (ფ), Ç (გ), K (კ), M (მ), N (ნ), O (ო), P (პ), Q (კიუ) და R (რ), შემჩნეულია, რომ ამ ჯგუფებს შორის სპექტრის მიხედვით არ არის ასე ვსთქვათ გარკვეული საზღვარი. შეიძლება ვარსკვლავების დაწყობა მათი სპექტრის მიხედვით ისეთნაირად, რომ ორ მეზობელ კლასს შორის სპექტრის მიხედვით არ იქნება დიდი გარჩევა.

ხუთი უკანასკნელი კლასის ვარსკვლავები ძლიერ მცირე რიცხოვანი არიან, ან ცუდათ არიან შესწავლილი და ამიტომ არ შედიან საერთო რიგში.

ვარსკვლავის სპექტრი, როგორც სჩანს, არ არის დამოკიდებული მანძილისაგან და ამიტომ მეცნიერება ერთ კლასში უყრის თავს ერთნაირი სპექტრის მქონე ვარსკვლავებს, თუგინდ ისინი სხვადასხვა მანძილით იყვენ დაშორებული ჩვენგან.

B, A და F კლასის ვარსკვლავები—თეთრი ფერის არიან G და K კლასის—ყვითელის, M და N კლასის—წითელი ფერის.

---

*) სპექტრალური ანალიზი—სინათლის შუქის დაშლა შემადგენელ ფერებათ სამწახნაგიან პრიზმის საშუალებით

ქრონიკა

— **მილოცვა ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.** აზერბეიჯანის პროფკავშირთა მეოთხე ყრილობა სალამს უძღვნის ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—საბჭოთა ამიერ-კავკასიის მუშების და გლეხების შტაბს. **ყრილობის პრეზიდიუმი.**

— **ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.** კახელ მევენახეთა კავშირთკავშირის მუკუზნის განყოფილების მუშა-მოსამსახურეებმა 1 თებერვლის საზოგადო კრებაზე მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად დაადგინეს: გადაიხადონ 6 თვის განმავლობაში, ვინც იღებს სპეცჯამაგირებს, ყოველთვიურად 20 პროც., ტეხნიკურ მომუშავეებმა 10 პროც. და თვიურმა მუშებმა 5 პროც. აღნიშნული ანარიცხიდან შემდგარი თანხა გადაეცეს ველისციხის პარტკომს იმ დავალებით, რომ მოხმარდეს ველისციხის საბავშვო ბაღის ან საფეიქროს გახსნას.

— **პროფ. კახიანის ლექციები.** კვირას, 2 მარტს ტოპოგრაფიულ ანატომიის ოპერატიულ ზოგად და ზოგად ქირურგიის კათედრის ბინაზე (დიდი მთავრის ქ. № 51) განახლდება პროფ. კახიანის ლექციების კითხვა ექიმთათვის.

— **მოხსენება სოციალურ აღზრდის შესახებ.** 29 თებერვალს გაიხსნა გაფართოებული პლენუმი ადგილობრივ მუშაკებთან ერთად „საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების“ ლენინის სახელობის ცენტრალური საბჭოსი. პლენუმის მორიგ სხდომაზე წაკითხული იქნება მოხსენება ამხ. მარია ორახელაშვილი შემდეგ თემაზე „სოციალური აღზრდის ძირითადი პრინციპები“.

— **პროვინციიდან ჩამოსული ავადმყოფები.** დამზღვევ კასამ განკარგულება გასცა ყველა საავადმყოფოს ეზის მიმართ, რათა პროვინციიდან ჩამოყვანილი ავადმყოფები დამზღვევი კასის დაუკითხავათ არ მიიღონ.

— **დამზღვევი კასის ბიულეტენი.** 10 მარტს გამოვა დამზღვევ კასის 1923 წლის ანგარიში ბიულეტენის სახით.

— **საბჭოთა მუშაკების სექცია.** შრომის ბირჟის საბჭოთა მუშაკების სექციაში უმუშევართა გამოცხადების დღეთ დანიშნულია სამშაბათი, 4 მარტი. უნდა გამოცხადდენ—ეკონომისტები, საქმის მწარმოებლები, ექსპედიტორები და კანტორის გამგეები.

— **სანიტ-განათლების ქვე განყოფილება.** ქ. აღმასკომმა დაადგინა ჯანმრთელობის განყოფილებასთან გაიხსნას სანიტარულ განათლების ქვეგანყოფილება.

— **ხიდი მდ. ძირულაზე.** მიმდინარე წელს დაიწყება და ამავე წელში დამთავრდება მდინარე ძირულაზე ბეტონის ხიდის აგება.

— **სასწავლო ნივთები უფასოთ ღარიბ მოწაფეებს.** ქ. აღმასკომმა დაამტკიცა განათლების განყოფილების მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა 6,284 მან. და 85 კ. რაოდენობით, აღნიშნული თანხით შეძენილი იქნება სასწავლო ნივთები მაზრებში ღარიბ მოწაფეთათვის დასარიგებლათ.

— **წითელი ჯარის 6 წლის თავის გამო.** წითელი ჯარის 6 წლის თავის გამო, ქ. აღმასკომმა დაადგინა თავის შეფობის ქვეშ მყოფ ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლას და კავკასიის ცხენოსან ბრიგადის უმც. უფროსი შემადგენლობის მოსამზადებელ სკოლას ერთდროული დახმარების სახით მიეცეს თითოს 30—30 ჩერვონეცი.

— **ჰიდრო-ელექტრონული სადგური მდ. აბაშაზე.** ა|კ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა სენაკის აღმასკომს მისცეს 20 ათასი მან. ჩერ. მდინარე აბაშაზე ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის მოსაწყობად.

— **ანარიცხების ტარიფის შეცვლა.** ა|კ. სახ. კომისართა საბჭომ შესცვალა სოციალურ დაზღვევისათვის პროცენტულ ანარიცხების ტარიფი.

— **ჯულფა-ბაქოს რკინიგზისთვის** ა|კ სახ. კომისართა საბჭომ ნება დართო ფინსახკომს გაუხსნას სესხი ა|კავკ. რკინისგზის სამმართველოს ჯულფა-ბაქოს შორის რკინისგზის გასაყვანად.

— **ახალი სკოლები.** დუშეთის მაზრაში გაიხსნა 5 ახალი სკოლა: სამი სოფ. მაღაროს კარში, ჩარგალში და მუჭოში და ორი ხევსურეთში—სოფ. მიწოვში და სახალეში.

— **გლეხკომების რაოდენობა.** სოც. უზრუნველყოფის კომ. ცნობით საქართველოში ამჟამად არსებობს 12 სამაზრო გლეხთა კომიტეტი, 362 თემის და 1266 სასოფლო კომიტეტი.

— **საშემოსავლო გადასახადი.** ა|კ. ფინანსთა სახ. კომისარიატმა დაადგინა სახელმწიფო-საშემოსავლო გადასახადის ვადა 1923—24 წ. პირველ ნახევრისათვის გაგრძელებული იქნას 1924 წ. 10 მარტამდე.

— **საზებიო ინსტიტუტი.** ჯანმრთელობის კომისარიატის საზებიო ინსტიტუტში დაზღვეულ მშობიარე ქალთათვის გაიხსნა დამატებით ათი საწოლი.

— **დაზღვეული ავადმყოფი მუშა-მოსამსახურენი.** ა|კ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით, იმ დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც ავად გახდებიან, ავადმყოფობის დღიდანვე დახმარებას აძლევს დამზღვევი კასა.

— **სამაგალითო სოფლები.** ა|კ. სახ. კომისართა საბჭომ აზერბეიჯანში სამაგალითო სოფლების მოსაწყობად გადასდო ასი ათასი მან. ჩერ.

რკინის გზებზე

— **საერთაშორისო დრო რკინის გზებზე.** საერთაშორისო დროის მიხედვით მატარებლების მოძრაობა ამიერ კავკასიის რკინისგზებზე დაიწყება 1 მაისიდან.

— **ა.-კ. რკინისგზის პროფკავშირთა პლენუმი.** ა.-კ. რკინისგზის პროფკავშირთა პლენუმი შესდგება 15 მარტს.

— **სათბობი მასალის ნაკლები დახარჯვა.** ამიერ-კავკასიის რკინისგზის სამმართველოსთან შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა მიიღოს ენერგიული ზომები გზებზე სათბობი მასალის ეკონომიურად დახარჯვისათვის

— **შვებულებები.** ტფილ. საუბნო რკინისგზის პროფკავშირმა დაადგინა რკინისგზებზე შვებულებების გაცემა შემოიღოს 1 აპრილიდან.

— **სათბობი მასალა იაფ-ფასებში რკინისგზელებს.** ტფ. რკინისგზის საუბნო პროფკავშირმა შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. რკ. გზის სამმართველოს წინაშე, რათა რკინისგზელებს უფრო დაკლებულ ფასებში მიეცეს შეშა და ნავთი.

შემთხვევები.

— მაღაზიის გატეხა. 27 თებერვალს, ღამით კირკის ქ. № 33, ბოროტმოქმედებმა გატეხეს მამედ გაჯიევის საგალანტერიო მაღაზია, საიდანაც გაუტანიათ 635 მ. ჩერვ.

— ქურდობა. 28 თებერვალს, გუდაურის ჩიხი № 8 გაქურდული იქნა მოქ. მარიამ გრიგოლის ასული ქარცივაძის ბინა, წაღებულია სხვადასხვა ნივთები და ტანისამოსი 50 ჩერვ.

— 27 თებერვალს, შუადღის 2 საათზე კამოს ქ. № 24 გაქურდული იქნა მიხეილ გურიევიჩის ბინა, წაღებულია 10 ჩერვონეცის ნივთები.

— 23 თებერვალს, დილის 8 საათზე, რუსთაველის პროსპ. № 19 მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდული იქნა მოქ. შალვა ბიჭიას ძე წითლიძის ბინა, წაღებულია 2230 მ. ჩერვონეცის ტანისამოსი და ნივთები.

— შეპყრობა. 22 თებერვალს, შეიპყრეს ანასტასია ხვიატოვა, რომელსაც ბრალდება ექიმ ალექსანდრე ბარამიძის ბინის გაქურდვა (განოვის ქ. № 23).

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

საბალეტო წარმოდგენა

სახელმწიფო ბალეტის დასი იმდენათ ძლიერია, როგორც მოცეკვავეთა რაოდენობით, ისე ღირსების მხრივ, რომ მას შეუძლია დასდგას დამოუკიდებელი საბალეტო წარმოდგენები.

ამ საღამოს დადგმული იყო ხორეოგრაფიული მიმოდრამა „შეხერეზადა“, რომელიც აგებულია არაბულ ზღაპრების 1001 ღამის თემებზე.

ეს თემები მშვენივრათ, კოლორიტულათ არის დასურათებული რიმსკიკორსაკოვის მუსიკალურ ნაწარმოებში „შეხერეზადა“-ში, რომელშიაც დაცულია მელოდიების აღმოსავლეთური ხასიათი.

ამ საღამოს წარმოდგენაში გასცენიურებული იყო მხოლოდ „შეხერეზადა“-ს პირველი ორი თემა. დადგმა ლამაზია, სტილიური.

მოცეკვავეთაგან აღსანიშნავი არიან ბალერინა სემიონოვა (მათხოვარი ქალი); მას ახასიათებს სილამაზე, სიმსუბუქე და საბალეტო ტეხნიკა. მრავალფეროვანია მიმიკაც კარგია პრიმა ბალერინა ლეონოვა (შახის ცოლი); სერგეევი (შახი) ერთფეროვანია პოზებში და არ იძლევა გამომეტყველ მიმიკას; მიუხედავად ამისა, ის ლამაზათ ცეკვავს.

კარგია ლიტვინენკო ვაჭრის როლში (ლიტვინენკო შესამჩნევათ მიიწევს წინ, როგორც ტეხნიკის, ისე პლასტიკის მხრივ) შახის სასახლის გამგის დამახასიათებელ სურათს იძლევა ნიჟიერი ბარხუდაროვი.

„ცხენოსანთა დასვენება“—დადგმულია ძველებურად.

ლამაზათ და კოლორიტულათ არის დადგმული „ვაკხანალია“—სცენაზე ლამაზი პოზები და ჯგუფებია. კარგია აქაც ლეონოვა და სემიონოვა. ლამაზია ლიტვინენკო, გორსკი და გულულოვი.

პირველში და უკანასკნელში საუკეთესო პლასტიკას და მიმიკას იძლევა ნიჟიერი ჰაბუკიანი.

ორკესტრს ხელმძღვანელობდა ბრონი (შეხერეზადა და ვაკხანალია). შეხერეზადას შესავალში საჭიროა უფრო ჩქარი ტემპი. ბრონს დაცული აქვს კოლორიტი და მხატვრული შეფერდება. დანარჩენი აკომპანიმენტი გარგია. ბალეტს „ცხენოსანთა დასვენება“-ს დირიჟორობდა ჩუგუნოვი—დაკვირვებით და მუსიკალურათ.

პ. ბებუთოვი.

— **ტროპიკულ ინსტიტუტის საზეიმო გახსნა,** რომელიც დანიშნული იყო 2 მარტს გადაიდო 9 მარტისათვის. გახსნა მოხდება დღის 12 საათზე მთავარ საავადმყოფოში.

— **ნ. დიმოვის ახალი პიესა.** მსახიობმა ნ. დიმოვმა დასწერა ახალი პიესა „დურმან“, რომელიც ითარგმნება ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე და ამ მოკლე ხანში დაიდგმება სანგანათლების თეატრში.

— **ნიკო გოცირიძის იუბილესათვის.** დღეს, ნაშუადღევის პირველ საათზე რუსთაველის თეატრში დანიშნულია სხდომა ნიკო გოცირიძის საიუბილეო კომიტეტისა: კომიტეტის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

— **ხელოვნების სასახლეში.** ორშაბათს, 3 მარტს, ხელოვნების სასახლეში შესდგება სრულიად საქართველოს ხელოვანთა კულტურულ კავშირის მთავარ კომიტეტის პლენუმის კრება. კრებაზე მოწვეულია კავშირის კულტსექციების საბჭოები მთელი შემადგენლობით. საკითხები: 1. მოხსენება მთავარ კომიტეტის მოქმედების შესახებ. 2. წესდების შეცვლა. კრება გაიხსნება საღამოს სრულ 8 საათზე.

„ახალი კლუბი“. ინვალიდების არტელმა იჯარით აიღო ყოფ. „ქართული კლუბი“ (სასახლის ქ.), რომლის საზეიმო გახსნა მოხდება ამ დღეებში „ახალი კლუბის“ სახელწოდებით. კლუბის თეატრში კვირაში სამჯერ მოეწყობა წარმოდგენა-ოპერეტები.

— **მსახიობ მარო მდივანის იუბილე.** დღეს, 2 მარტს ბათომში გაიმართება მსახიობ ქალის მარო მდივანის 25 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე.

— **ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“** გამოვიდა ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ № 6 (9).

— **დიდი საღამო.** ორშაბათს, 3 მარტს რუსთაველის თეატრის ყველა დარბაზებში გაიმართება დიდი საღამო საინტერესო პროგრამით.

— **ხელოვნების სასახლეში.** ოთხშაბათს 5 მარტს, ხელოვნების სასახლეში (სერგიევის ქ. № 13) საღამოს 8 საათზე პროლეტარულ მწერალთა მორიგ (მეოთხე) ლიტერატურულ საღამოზე ხელმეორედ გაიმართება **დისკუსია თანამედროვე ქართულ თეატრზე** (გაგრძელება წარსულ დისკუსიისა) დამატებითი მოხსენებით თანამედროვე თეატრის პრობლემებზე გამოვა ამხ. შ. დუდუჩავა. დისკუსიაში მონაწილეობას იღებენ: რ. კალაძე, გედევანიშვილი, ეული, ქიქოძე, კალანდარიშვილი. ამავე დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან: კ. მარჯანიშვილი, გ. რობაქიძე, დადიანი, კოტეტიშვილი, ქიჩელი, მაყაშვილი, შიუკაშვილი, არჩილ მიქაძე, და არტემ ქვირიკაძე. შესვლა ბილეთებით.

— **პროლეტარულ მწერალთა კავშირში.** ორშაბათს, 3 მარტს ხელოვნების სასახლეში მოწვეულია პროლ. მწერალთა კავშირის გამგეობის და მისი სექციების სხდომა. დასწრება ევალებათ: თოდრიას, გედევანიშვილს, ზომლეთელს, ეულს, დუდუჩავას, ქიქოძეს, ვაკელს, სამსონიძეს, ხეჩუაშვილს, შინატეხელს და ნავთლუღელს.

დღეს თეატრებში.

— **ოპერა.** „დაისი“.
— **დრამა.** „მასკოტ“.
— **სახალხო სახლი.** „სულელი“.
— **კონსერვატორია.** ტერ-დანიელიანის კონცერტი.
— **ცირკი.** ძმ. ტანდიტების განმეორებითი ბენეფისი.

მუშათა ცხოვრება

თვითმშრომელებში

თანახმად სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის განკარგულებისა თვითმშრომელ ხელოსანის კომიტეტი და დელეგატთა კრება გაუქმდა და დაინიშნა დროებითი კომიტეტი. ამ უკანასკნელს დაევალა მოახდინოს ხელახლა ქ. ტფილისის და მისი რაიონების ხელოსნების „პერერეგისტრაცია" და ამავე დროს გაწმენდა კავშირისა. „პერერეგისტრაცია" დაიწყო ა. წ. 10 იანვრიდან და დღემდე გრძელდება. „პერერეგისტრაცია" დასრულდება თებერვლის დამლევს, რის შემდეგ დაიწყება დელეგატების არჩევნები, რომელიც შემდეგ გამოჰყოფს კომიტეტს. „პერერეგისტრაციამდის" კავშირში ითვლებოდა 4000 კაცზე მეტი. როგორც ეტყობა, გაწმენდის შემდეგ დარჩება არა უმეტეს 2500 კაცისა. მიღების კომისია ძალიან ფრთხილად ეკიდება კავშირში მიღებას. ახლა იმედია, რომ კავშირში არც ერთი არასასურველი და მავნე ელემენტები არ დარჩებიან. ტფილისში ახალ „პერერეგისტრაციის" და ახალ დელეგატების არჩევის შემდეგ სახალხო კომისარიატს აზრად აქვს, მოახდინოს საბჭოთა საქართველოს ხელოსნების ყრილობა. აგრეთვე დაიბადა აზრი ახლო მომავალში მოწყობილი იქნეს ხელოსნების ნაწარმოების გამოფენა.

დროებითი კომიტეტი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, შეიტანოს კულტურა ხელოსნებში, რისთვისაც თანდათანობით უკვე მოეწყო საზამთრო და საზაფხულო კლუბი, რომელთანაც არსებობს ბიბლიოთეკა-სამკითხველო. აქ ყოველ ორშაბათობით იმართება ლექციები, მოხსენებები და უფასო წარმოდგენები. მიღებულია ზომები წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად ხელოსნებში. მასთან მუშაობის უნარმოკლებულ ხელოსნებს ეძლევა პენსია.

ხელოსნებს ეძლევათ საექიმო და იურიდიული და ოჯახის წევრის გარდაცვალების დროს დახმარება. მიღებულია ზომები ახლო მომავალში მოწყობილი იქნეს სიბერის და მუშაობის უნარმოკლებულ ხელოსნების თავშესაფარი.

კომიტეტი იღებს ყველა ზომებს გაუწიოს დახმარება ხელოსნებს სხვადასხვა შეღავათებით. ზოგიერთი შეღავათები ხელოსნებმა უკვე მიიღეს —როგორც არის ბინის ქირა და სხ. ხელოსნები რომ მძიმედ არ იყვნენ დატვირთულნი, ყველა უბნის ფინინსპექტორებთან ღაგზავნილია თვითმშრომელ ხელოსნების წარმომადგენლები. აღძრულია შუამდგომლობა დაეკლოს თვითმშრომელ ხელოსნებს დარაბების გადასახადები. უნდა იყოს აღნიშნული, რომ თვითმშრომელ ხელოსნებს ტფილისში დაკავებული აქვთ დაახლოებით ათასი დარაბა. აღძრულია შუამდგომლობა, რომ ხელოსნებს მიეცეს შეღავათები წყლის ტარიფის გატარების დროს.

თანახმად განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებისა თვითმშრომელ ხელოსნების შვილებს მიიღებენ განათლების ტეხნიკუმებში და შრომის სკოლებში და აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში ისეთივე პირობებში, როგორც სხვა მშრომელ კავშირების წევრები.

თვითმშრომელთა ს—ბის კომიტეტის თავმჯდომარე ხ. შავიშვილი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში

თებერვლის 24-ს გაიმართა შ. ს. ს. კომისარიატის თანამშრომელთა კრება, რომელზედაც აირჩიეს ახალი ადგილკომი, კულტკომისია და სხვ.

ახლად არჩეულმა შ. ს. ს კომისარიატის თანამშრომელთა კულტკომისიამ თავისს პირველ სხდომაზე თებერვლის 27-ს დაადგინა: 1. შ. ს. ს. კომისრის ა. გეგეჭკორის და მისის მოადგილის ი. ტალახაძის საპატიო თავმჯდომარეებად არჩევა, 2. კომისარიატის თანამშრომელთათვის სისტემატიურ ლექციების მოწყობა პოლიტგანათლების და საქართველოს ისტორიის შესასწავლად, 3. გორის მაზრის, როგორც უფრო დაზარალებულის, ერთ-ერთის ყრუ სოფლის შეფობის მიღება და 4. კონცერტის მოწყობა კულტფონდის შესაქმნელად და უახლოესს დღეებიდან დაწყებული მთელი რიგი ექსკურსიების კულტურულ-განმანათლ. მიზნით მოწყობა,—პირველ რიგში ქ. ტფილისის დაწესებულებათა დასათვალიერებლად (ცენტროარქივი, საქართ. მუზეუმი, სასაკლაო და სხვ.).

ინფორმატორი ადგილობრივი.

კიდევ მუშკოოპზე.

აშკარაა ყველასათვის, რომ კოოპერაცია მეტადრე იქ, სადაც ბატონობს მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, წარმოადგენს გაერთიანებულ მომხმარებელ სავაჭრო საზოგადოებას, რომლის გამგეობა აბარია თვით მუშებს და გლეხებს. კოოპერაციას, რომ დღეს დიდი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ამას განმეორება და მტკიცება აღარ სჭირდება. ამ ბოლო ხნის განმავლობაში შემოღებული იქნა მუშა-მოსამსახურეების ნისიათ რამოდენიმე ხნის განმავლობაში გადახდით საქონლის გაცემა და სწორედ ამ ნისიად საქონლის გაცემასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ გამოვსთქვა მე ჩემი აზრი: ხშირად მუშა-მოსამსახურე ღებულობს თავის სამუშაო ქირას სამუშაო დღის ბოლოს და ის იმ დღეს ვერ ახერხებს ამ ფულის რაციონალურად განაწილებას. ხდება ისე, რომ ხანდისხან მუშას ფულიც არ აქვს შეიძინოს მისთვის ყოველდღიურად საჭირო საქონელი როგორიც არის პური, შაქარი, ხორცი, ჩაი, მარილი და სხვა, იმ დროს როდესაც არც ისე ძნელი არის, რომ „მუშკოოპის" გამგეობამ ნება დართოს თვითეულ მუშას-მოსამსახურეს მიიღოს ნისიად ყველა ეს საგნები მუშკოოპიდან, ადგილკომის საშუალებით სანისიო წიგნაკით, რომელშიც აღნიშნული იქნება თვიური მისი ჯამაგირი და ამ წიგნაკის მუშკოოპის დუქანში წარდგენის შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში ხდებოდეს ნისიად ყოველივე მისთვის ყოველდღიურად საჭირო საქონლის გაცემა. საქონლის საფასური ფული კი თვის ბოლოს სათანადო ქარხნის დაწესებულების მიერ იქნება შეტანილი მუშკოოპის სალაროში. ამით კი ჩვენ მუშებს და კოოპერაციასაც მოუტანთ სარგებლობას: 1. მუშა-მოსამსახურის შრომის ხელფასს ვიხსნით დაცემისგან და უნიადაგოთ გაფლანგვისაგან და 2. გავადიდებთ „მუშკოოპის" საქონლის გამსაღებლის რიცხვს, ეს კი თავის მხრივ იქონიებს დიდ გავლენას და დიდად ასწევს „კოოპერაციის" ნამდვილ მნიშვნელობას მუშის და გლეხის თვალში.

პეტ. ცაგარელი.

ჩვენი სამკითხველო კარგ მდგომარეობაშია

ლენინის უბანში, ჩერქეზოვის ქუჩაზე არის მოთავსებული პლეხანოვის სახელობის სამკითხველო, რომელიც დიდ განძად ჩაითვლება მთელი მუშათა უბნის მცხოვრებლებისათვის. დღეს ეს სამკითხველო, როგორც ანდამატი იზიდავს მშრომელ მასებს. პატიოსანი მუშებიც, თუ კი მოცლილ დროს გამონახავენ, უმალვე მიისწრაფებიან სამკითხველოსკენ. ჩვენმა მუშებმა უკვე შეიგნეს, რომ განათლების წყარო იმყოფება ამ სამკითხველოში და ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ შეითვისონ სწავლა-გამოცდილება და ცხოვრებაში ნაყოფიერად გამოიყენონ. მართლაც ჩვენ რომ ჩაუკვირდეთ, ყველაფერი, რაც კი ცხოვრებაში ხდება, ჩაქსოვილია წიგნებში, ჟურნალებში და გაზეთებში და მუშამაც, მაგრად მოჰკიდა ხელი ამ მასალას ცხოვრებისას, რომლის საშუალებითაც იგი გაეცნობა ყველაფერს, რაც კი მის გარშემო ხდება და რაც აუცილებელია მისთვის, ვინაიდან ამით იგი შესძლებს იმ შავი ფარდის მოსპობას, რომელიც მას თვალს უხვევდა. „პლეხანოვის სამკითხველოს" თანამშრომლები მეტად მიზანშეწონილად ამოძრავებენ თავის ძალებს და ამიტომაც ყოველ მხრიდან მუშები, მშრომელთა მასები მიილტვიან მისკენ. ეს უკანასკნელნიც დიდი უნარით და გულდასმით კითხულობენ გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს და სხვას. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ამგვარი სამკითხველოები მეტის რაოდენობით გაიხსნებოდეს ლენინის უბანში, რომელიც ბუდეა მუშათა ხალხისა. და საჭიროც იქნება სახალხო განათლების კომისარიატმა შეიძინოს უფრო კარგი და თანამედროვე წიგნები პლეხანოვის სამკითხველოსთვის, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე, უფრო კი ქართული წიგნები, ვინაიდან, ისინი აქ ნაკლებადაა.

მუშის შვილი ვლ. დევაძე.

მუშათა ფაკულტეტი

(პროლეტარის დღიურიდან).

ჩვენი ფაკულტეტის თეატრის დარბაზი მუშა სტუდენტებით გაჭედილი იყო. აგერ-ეგერ მუშა-სტუდენტებს გაზეთები ეჭირათ ხელში და ზედ ჯგუფ-ჯგუფად ლენინის სურათს უცქერდნენ. იყო დუმილი... აგერ-ეგერ ამბობენ: —ლენინი მოკვდა... ნუ თუ მოკვდა?.. არა, ის არ მომკვდარა ის თავის სიდიადით სდგას ჩვენს წინაშე...

აგერ მალაქია ტ—ძე მოვიდა. ჩვენ მას უცდიდით.

გაისმის: —„ფეხზე ადგომით მსხვერპლად დაეცი".

სიტყვა ეკუთვნის მ. ტ—ძეს. ლენინის შესახებ სიტყვას ამბობს ის.. **მსოფლიოს გმირების კონუსის წვერზე ლენინი ავიდა და იქიდან მოგვიხმობს თავის მხურვალე სიტყვებს!..**

ღრმა მწუხარება სახეზე აღბეჭდილა. ყველა გრძნობს, რომ ლენინის სიკვდილით დიდი აკლია მსოფლიოს მუშათა კლასს... კვლავ გაისმის: „ფეხზე ადგომით მსხვერპლად დაეცი!". და ჩვენ მზათა ვართ, მსხვერპლად დავეცეთ. ესაა დიდი ბელადის აჩრდილის წინაშე ჩვენი ფიცი...

ჩვენ გმირები ვართ და მტკიცეა ჩვენი ფიცი!

მუშკორი ფ. მუშფაკელი.

ეს შეცდომა უნდა გამოსწორდეს.

(ხაშურის ხაზის პროფკავშირის საყურადღებოდ).

შორაპნის საბინაო კომისია, როგორც სჩანს, ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ამის დასამტკიცებლად ავიღოთ შემდეგი ფაქტი: შორაპნის დეპოს უფროსის თანაშემწეს ბირიაკოვს, რომელსაც მხოლოდ მოხუცებული ცოლი ჰყავს და ერთი ფეხი უკვე სამარეში უდგია, დაუბრაკეს ოთახი სინესტის გამო და გადაყავთ უკეთეს ოთახში. მხოლოდ ამ ოთახში კი გადმოყავთ ამავე დეპოს მოსამსახურე ამხ. კვინიკაძე, რომელიც წვრილი ცოლშვილის პატრონია, რითაც ერთ ვაჟს რევმატიზმით მუხლები მოწყვეტილი აქვს: განა ასეთი მათი მოქმედება კანონიერია? კვინიკაძეს კი უნდა ხელის შეწყობა. მის ცოლშვილსაც ავნებს სინესტე, როგორც მოქ. ბირიაკოვისას.

მუშკორი ტაკ.

მუშათა ქრონიკა.

— **შვებულება ლიანდაგის შიკრიკებისათვის.** თანახმად ლიანდაგის სამმართველოს შიკრიკების თხოვნისა შვებულებაში რიგრიგობით სიარულის შესახებ ადგილკომმა მიიღო ზომები და თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა.

— **წარმოდგენა მუშებისათვის.** დღეს, 2 მარტს პლეხანოვის თეატრთან არსებულ ქართულ დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება სამ მოქმ. პიესა შ. დადიანისა „გუშინდელი".

— **სამუშაო დღის შემცირება.** რკინის გზის პროფკავშირმა წინადადებით მიმართა ადმინისტრაციას, რათა მარტიდან ყველა გონებით მომუშავეებმა იმუშავონ დღეში ექვსი საათი, ნაცვლად 8 საათისა.

— **მოწაფეების მატარებლების გაუქმება.** ვინაიდან დიდი ხარჯი მიდის მოწაფეების მატარებლების შესანახად, ამიტომ განსაკუთრებულმა კომისიამ დაადგინა 1 მარტიდან გაუქმებულ იქნეს მოწაფეების ყველა მატარებლები. ხოლო მუშა მოსამსახურეების შვილებს მიეცემათ ფული.

მუშკორი ტაკ.

პროვინციაში

ორი დღესასწაულის ჩატარება სურამში

25 თებერვალს ქ. სურამმა იდღესასწაულა ძლევამოსილი წითელი არმიის 6 წლის თავი და საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავი. ცუდი ამინდის გამო ზეიმი იხსნება ადგილობრივი მუშათა კლუბის დარბაზში. საზეიმო მიტინგს ხსნის ქ. სურამის კომიაჩეიკის სახელით ამხ. ალ. ბარბაქაძე. ლაპარაკობენ სხვადასხვა ორგანიზაციების და დაწესებულებების წარმომადგენლები. ორატორები ახასიათებენ და ჯამს უკეთებენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებულ მუშაობას.

წითელი არმიის ექვსი წლის თავის მნიშვნელობის შესახებ ლაპარაკობენ წითელი არმიის წარმომადგენლები. ეს ამხანაგები ტფილისიდან იყვნენ სურამში გამოგზავნილნი წითელი არმიის ექვსი წლის თავის დღესასწაულზე დასასწრებლად, მაგრამ, ვინაიდან ეს დღესასწაული დანიშნულებისამებრ 23 თებერვალს არ შესდგა, იძულებული იყვნენ 25 დარჩენილიყვნენ და ეს ორი დიდ მნიშვნელოვანი ისტორიული აქტი ერთად ეზეიმნათ. გამოტანილი იქნა შესაფერისი რეზოლიუცია, სადაც სალამს უძღვნიან ძლევამოსილ წითელ ლაშქარს და უსურვებენ სრულს გამარჯვებას საერთაშორისო პროლეტარიატის საკეთილდღეოდ. მიტინგის დახურვისას იმავე მუშათა კლუბის დარბაზშივე ადგილობრივ დრამატიული წრის მიერ გლეხებისა და წითელარმიელებისათვის დადგმულ იქნა წარმოდგენა; წარმოდგენილ იქნა რევოლიუციონურ შინაარსის პიესა „ამ დროის გმირები"—ოთხ მოქმედებიანი ალ. ბაქრაძისა.

ი. გაგოშიძე.

პოლიტგანათლების მუშაობა გორის მაზრაში

მთელს მაზრაში გახსნილია 86—წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა; ქ. გორში უკვე დაარსებულია მაღალი ტიპის სკოლა 30 მსმენელით. ამ სკოლის გახსნამ გამოიწვია ხალხში დიდი გამოხმაურება.

სოფ. ტყვიავში პოლიტგანათლების მეთაურობით მოწყობილია სახალხო უნივერსიტეტი 65 მსმენელით. ხსენებულ უნივერსიტეტში სისტემატიურად იკითხება ლექციები სხვადასხვა პოლიტიკურ, მეცნიერულ და ხელოვნების დარგებიდან. ლექტორები სათანადოთ არიან მომზადებულნი.

ცოდნის წყურვილი გაღვიძებულია ხალხში. ყოველ მხრიდან მოდის აუარებელი შუამდგომლობა, რათა გავხსნათ სკოლები, განსაკუთრებით კი ლიკ. სკოლები.

პოლიტგანათლებას აქვს გახსნილი 14 წიგნთსაცავ სამკითხველო, მათ შორის 6 არის სახელმწიფო ხარჯზე, მხოლოდ 8 კი ინახება ადგილობრივ ხარჯზე. სამწუხაროდ დღემდის ადგილობრივი ორგანოები ვერ უწევენ ხსენებულ ბიბლიოთეკებს, მზრუნველობას და ეს უკანასკნელნი ცუდ მდგომარეობაში არიან. საჭიროა ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებმა მიაქციონ ბიბლიოთეკებს მეტი ყურადღება. მაზრაში არის 41 ქოხ-სამკითხველო, რომელსაც ხელმძღვანელობენ ადგილობრივი კომუჯრედები. მაზრაში მოწყობილია 14 თეატრი. ზოგიერთ ადგილას მუშაობა მიდის სისტემატიურად, ზოგან კი ძალიან სუსტად, ან სრულიად შეჩერებულია, თუმცა სურვილი თეატრისა ხალხში დიდია. სუსტი მხარე ამ დარგში მუშაობისა აიხსნება მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზებით, განსაკუთრებით კი სცენის, დეკორაციების, პიესების, ტანისამოსის, რეკვიზიტის და საზოგადო საჭირო თანხების უქონლობით. ქ. გორში პოლიტგანათლებას აქვს საკუთარი წიგნის მაღაზია, რომელიც ისტუმრებს თავის ხარჯებს, რჩება მოგებაც, რომელიც ხმარდება ადგილობრივ პოლიტგანათლების საჭიროებებს. გორშივე მოწყობილია განყოფილებასთან კინო, სამხედრო ორკესტრი, სიმებიანი ორკესტრი, მომღერალთა გუნდი და ლექტორთა ჯგუფი. ახლო მომავალში გაიხსნება განათლების და ხელოვნების მუშაკთა სახლი, რომლის ბინა უკვე გამზადებულია.

ა. ც.

წერილი რედაქციის მიმართ

(დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 50)

1922 წლის 8 მაისიდან, როდესაც მოხდა მაჰამედ-ბაგრამან-ოღლის სიკვდილზე ხელყოფა იუსუფ-აბას-ოღლი გაიქცა, და მხოლოდ იმავე წლის 31 ოქტომბერს ის იყო დატუსაღებული. 2 ნოემბრიდან გამომძიებელი შეუდგა შეჩერებულ საქმის წარმოებას და 1923 წლის 27 თებერვალს ის წინასწარ გამოძიებას ასრულებს, მაგრამ რადგანაც იმავე ბრალდებულს ბრალი ედებოდა მეორე დანაშაულებაში მაჰამედის მოკვლაში, რომელიც მოხდა ტფ. მაზრის პირველ უბნის გამომძიებლის რაიონში, მან საქმე გადაუგზავნა პირველ უბნის გამომძიებელს. უკანასკნელი საქმეს სიკვდილის ხელყოფის შესახებ უბრუნებს შულავერის გამომძიებელს, მოკვლის შესახებ კი საქმეს გადასცემს გარეუბნის სახალხო სასამართლოს საქმის მოსასპობად, რადგანაც დამნაშავენი არ იყო აღმოჩენილი. ეს მოხდა 1923 წლის 31 მარტს. აღმ. საქ. პროკურატურა მაშინ თითქმის არ არსებობდა. პროკურორის თანაშემწეები არ იყო დანიშნული და, მაშასადამე, არც ზედამხედველობა გამომძიებლებზე სწარმოებდა და არც არსებობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. პირველად საქმე მიიღო პროკურატურამ ივნისში. გადაათვალიერა თუ არა საქმე, მაშინვე მისცა წინადადება შულავერის გამომძიებელს საქმე იუსუფ-აბას-ოღლზე წარმოებით გაეგრძელებია, დაენებებია თავი ფორმალისტობისათვის, საქმის გაჭიანურებისათვის, რომ მან უნდა შეადგინოს ერთი საბრალმდებლო დასკვნა და წარუდგინოს ვისაც ჯერ არს. შულავერის გამომძიებელი ასეთი წინადადების მიხედვით წაუყენებს ბრალდებას გამასწორებელ სახლში მოთავსებულ პატიმარს 14 ივლისს ტფილისის მე-3 უბნის გამომძიებლის მეშვეობით, მოქ. კ-ნი კი ბრძანებს, რომ თითქოს პატიმარი იყოს დაკითხული 17 სექტემბრის 1923 წელს მის შემდეგ, რაც ის პირველად დაკითხული იყო 1922 წ. 2 ნოემბერს. მეტი რომ არ ვსთქვათ, ეს დაუშვებელი უწესრიგობაა ამ ხანებში ბრალდებულის დამ გიულიარმა შაშხანით მოკლა თავისი რძალი კიზხანუმ და მისი 4 წლის ვაჟი. რადგანაც გამომძიებელმა გამოარკვია, რომ ამ უკანასკნელ მკვლელობებს აქვს კავშირი იუსუფის დანაშაულებებთან, გამოიტანა დადგენილება, სადაც სწერს, რომ საქმის სრული გამორკვევისათვის და მთლიანი შეთანხმებისათვის საჭირო არის საქმეს დაერთოს ოქმები კიზხანუმის მოკვლის გამოძიებისა (ფურცელი 57). ამის შემდეგ 25 ივლისს შედგენილი იქმნა დასკვნითი დადგენილება მაჰამედ-ბაგრამან-ოღლის მოკვლის ხელყოფაზე 29 ივნისს. აღმ. საქ. პროკურატურა, როგორც კი საქმე მიიღო, მაშინვე დაუბრუნა შულავერის გამომძიებელს შემდეგი წარწერით „თანახმად სისხლის საპროცესო კოდექსის 34 მუხ. დაუბრუნდეს შულავერის გამომძიებელს, რათა მან შეაერთოს ეს საქმე მკვლელობის საქმესთან, შეადგინოს ერთი საბრალმდებლო დასკვნა. ამასთანავე აცნობებს გარეუბნის სასასამართლოს საქმე მკვლელობის შესახებ გადაუგზავნოს შულავერის გამომძიებელს, რადგანაც საქმის წარმოებაში პროკურატურამ შეამჩნია საქმის არ ცოდნა, გამომძიებლის მიერ უსაფუძვლო წარმართვა საქმის სხვადასხვა დაწესებულებებისადმი და ამით გააჭიანურა საქმის დასრულება. აღძრა მაშინვე შუამდგომლობა იუსტკომისარის წინაშე, სადაც სწერდა „შულავერის უბნის სახალხო გამომძიებელი ტ-ი ვერ ასრულებს თანამდებობით დაკისრებულ მოვალეობებს ღირსეულად" და როგორც შეუფერებელი გამომძიებელის თანამდებობის, მოითხოვდა მის დათხოვნას (6 სექტემბერი № 1752).

სამი კვირის შემდეგ ასეთი შუამდგომლობისა პროკურატურა ხელახლა სწერდა რესპუბლიკის პროკურორს: „შულავერის საგამომძიებლო უბანში დაგროვდა საქმეები თვით გამომძიებლის ტ-ის უმოქმედობით, დაგროვილ საქმეებზე არიან პატიმრები, რომელთაგან გამუდმებით შემოდის განცხადებანი საქმის დაგვიანების შესახებ, რაზედაც გამომძიებელი ტ-ი ვერ ღებულობს საჭირო ზომებს. თვით გამოძიების დაყენება და მსვლელობა ვერ არის სწორი მთელ რიგს საქმეებზე, ყველა ამ მოსაზრებათა გამო მე ვფიქრობ, რომ გამომძიებელი ტ-ი არ შეეფერება თავის თანამდებობას, რისთვისაც ის უნდა იქნას დათხოვნილი სამსახურიდან" (25 სექტემბერი № 2026). მართლაც რესპუბლიკის პროკურორის განკარგულებით გამომძიებელი ტ-ი მოხსნილ იქნა თანამდებობიდან და სრულებით დათხოვნილი სამსახურიდან. პროკურატურამ ბოლოს მიღებული საქმე საბრალმდებლო დასკვნის თვით თავის კამერაში გადაამუშავა ახალი საბრალმდებლო დასკვნის შედგენით. ვინც კი იცნობს აღმ. საქ. პროკურატურის მუშაობას, ვინც იცის, რომ მის ზედამხედველობის ქვეშ რამოდენიმე ათასი საქმეა და ათი ათასი თხოვნა და განცხადებები, ვინც იცის, რომ ხშირად პროკურატურა მთელი საღამოები საქმის გაცნობას და მის წარმართვას ანდომებს, ის პირუთვნელად იტყვის, რომ ასეთი დასკვნების შედგენა მაჩვენებელია მისი ზომაზე გადაჭარბებულ შრომისა.

საქმე მართალია გაჭიანურდა, მაგრამ ამის მიზეზები არის ის, რომ ბრალდებულ იუსუფ აბას-ოღლს ბრალდება ორი დანაშაულობა სხვადასხვა დროს და ადგილას ჩადენილი, რომ ამ დანაშაულებებს აქვს კავშირი სასამართლოში მიცემულის მის დის გიულიარის დანაშაულებასთან, რომელსაც გამორკვევა და გამოძიება უნდოდა; პროკურორის თანაშემწე შულავერის მაზრაში არ ცხოვრობს შულავერში და გამუდმებითი ზედამხედველობა გამომძიებელზე ფაქტიურათ არ ჰქონდა, ხშირი მიმოსვლა მისი შეუძლებელი იყო თანხების უქონლობის გამო. რომ გამომძიებელი პასუხისმგებელი თანამდებობის პირი მიმართავდა დაუშვებელ ფორმალიზმს, რასაც შედეგათ მოჰყვა საქმის გაჭიანურება რომ საპროცესო კოდექსი პირველ ხანებში არ არსებობდა და მიუხედავათ პროკურატურის კატეგორიული წინადადებებისა, გამომძიებელი მაინც ურჩობდა, რისთვისაც ის დათხოვნილ იქნა სამსახურიდან, პროკურატურამ მიიღო ყოველი შესაძლებელი ზომები. მისწერა თავის თანაშემწეს შულავერში, რომ მან იქონიოს ზედამხედველობა საქმის დამთავრებაზე (49 ფურცელი); აძლევს წინადადებას გამომძიებელს საჩქაროთ საქმის დამთავრებაზე (106 ფ.) აძლევს წინადადებას მასვე საქმის მთლიანად წარმოდგენის და გამოძიების დაჩქარებაზე (97 ფ) ადგენს ახალ საბრალმდებლო დასკვნას. რა უნდა ექნა მეტი საპროკურორო ზედამხედველობას, იქნებ მიგვითითოს ამაზე მოქ. კ-ნმა?

იქონიოს მოქალაქეობრიობა წერილის ავტორმა და გვიპასუხოს, წაიკითხა თუ არა მან აღნიშნული საქმე? და თუ წაიკითხა, რისთვის განზრახ დამალა მკითხველებისაგან? რას წარმოადგენს ბრალდებული იუსუფ აბას-ოღლი, რა მიზეზით დაგვიანდა ამ საქმის დასრულება, რა ზომები იყო მიღებული პროკურატურის მიერ ასეთი დაგვიანების აღსაკვეთათ? თუ მას უნდოდა ბიუროკრატიზმის საქმის გაჭიანურების მოსპობა, სამართლიანობის დამყარება, როგორც ეს ემჩნევა მის წერილს,—რისთვის არ გამოარკვია ყოველმხრივ საქმის ვითარება და არ გაეცნო საქმეს, რათ არ ჰკითხა ამის შესახებ პროკურატურის ზედამხედველობის მეთაურებს და მიმართა ასეთი დამახინჯებული ცნობებით მუშურ პრესას? ყველა ეს იქნება გამოაშკარავებული იმ გამოძიებით, რომელიც ჩემს მიერ იქნება აღძრული. ჯერ-ჯერობით კი ვიტყვი, რომ წერილის ავტორს ასულდგმულებდა არა სისწორე, სამართლიანობა, არამედ რაღაც სხვა პირადი ზრახვანი.

აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორი: **ხ. კარტოზია.**

P. S. წერილის ავტორის საგულისხმოთ აღვნიშნავ, რომ 105 მუხლს სისხ. სამ. საპროცესო კოდექსისა სრულებით არავითარი საერთო არა აქვს ამ შემთხვევაში ბრალდებულის დაპატიმრებასთან. რაც შეეხება კი 116 მუხლს და ამასთანავე 159 მ. სისხ. სამართლის საპ. კოდექსისა, მათი მოთხოვნილება შეეხება „მარტოოდენ" იმ დატუსაღებულ ბრალდებულებს, რომელთა თავისუფლებით ყოფნა ხელს შეუშლის გამოძიების სწორ მსვლელობას და ჭეშმარიტების გამოაშკარავებას, და არა იმით, რომელნიც დატუსაღებულნი არიან იმის გამო, რომ წარმოადგენენ საშიშროებას გამოძიების და სასამართლოს დროს დამალვით.

ანონს გაგება უნდა და სწორი გადმოცემა. **ხ. კ.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ს. კ. პ. ცეკასთან არსებული ცენტრალური **კულტშეფობის ბიუროს მორიგი სხდომა** დანიშნულია ორშაბათს, 3 მარტს დილის 11 საათზე, სააგიტ. საპროპაგანდო განყოფილებაში.

დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

— **ახალგაზრდათა კომკავშირის** ც. კ. აუქმებულად აცხადებს კომკავშირის ბორჯომის რაიკომის დაკარგულ რგვალ ბეჭედს წარწერით: „საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი", და შუაში რუსულად: "Боржомский райком"

ს. კ. ა. კ. ც. კ.

— ს. ა. კ. კ. გაძლევთ წინადადებას, რათა გამოცხადდეთ სასტატისტიკო სააღრიცხვო განყოფილებაში სამი დღის განმავლობაში შემდეგი ამხანაგები:

1. ჩაჩანია გრიგოლი დავითისძე, 2. სუჩაკოვი ალექსანდრე მიხეილისძე, 3. თელია თეოფილე ალმასხანისძე, 4. ბაქნაძე აკაკი მათესძე. 5. ზილიგვვი ისაკო თევდორესძე, 6. თიბილოვი ევდოკია. 7. დანელიანი არამი, 8. თოდუა ალფეზ გიორგისძე, 9. სეიდოვი მამედ, 10. ჩიგოგიძე ბესარიონ ბეგლარისძე, 11. ძლენტი რაფაელი დავითისძე, 12. ორაგველიძე დავითი იოსებისძე, 13. მელაძე ალექსანდრე ყარამანისძე, 14. თავაძე იასე ლუკასძე 15. ლალიანი არმენაკ ბახშოსძე, 16. ბალაბლინსკაია ვალენტინა ვლადიმირის ასული 17. სურგულაძე გიორგი, 18 ბალანჩივაძე ივანე, 19. მიქელიან ლიუსია, 20 პიკავა ნური მამედი.

საალ. სასტ. განყ. გამგე: ლეკიშვილი.

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი** იწვევს ოთხშაბათს, 5 მარტს, საღამოს 6 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში **უჯრედების ბიუროების და პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა საერთო საქალაქო კონფერენციას.**

დღის წესრიგი:

1. დაზგასთან მდგომ მუშების პარტიაში მიღების შესახებ (მომხსენებელი ამხ. ლომინაძე).
2. მუშაობა პარტიაში ახლად მიღებულთა შორის (მომხ. ამხ. კახიანი).
3. პრაქტიკული ღონისძიებანი პარტიის ახალ ამოცანების შესასრულებლად ტფილისის ორგანიზაციაში (მომხსენ. ამხ. რუბენი).

პროფესიული

— კვირას 2 მარტს, სრულ 1 საათზე მუშათა პრესის კლუბის შენობაში (აბასაბადის მოედანი, № 7) დანიშნულია **პრესის მუშაკთა სექციის წევრების საერთო კრება.**

დღის წესრიგი: 1) **ამხ. კუზმინის მოხსენება** პრესის მუშაკთა სრულიად საქართველოს მე-2 ყრილობის შესახებ. 2) **ამხ. ავენირის მოხსენება** ადგილკომის ამოცანების შესახებ. 3) მიმდინარე საქმეები.

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

ეს კრება, როგორც მეორეთ მოწვეული, კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

სრულ 12 საათზე იქვე შესდგება კომფრაქციის სხდომა.

კავშირის ცენტრ. გამგეობის მდივანი შავერდოვა.
საორგან. განყ. გამგე ფანცულაია.

დადგენილება № 4
საქართველოს ს. ს. რ. შინა-ვაჭრობის კომისიისა

1924 წ. თებერვლის [illegible] დღესა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა ფართე მომხმარებელ მასსას გაუადვილდეს პირველ საჭიროების საქონლის და საგნების ნამდვილ ღირებულების გამორკვევა საქართველოს შინა ვაჭრობის კომისია წინადადებას აძლევს როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ, აგრეთვე კერძო საწვრილმანო სავაჭრო წარმოებებს, მიმდინარე წლის 1 მარტიდან გამოკიდონ თავიანთ სავაჭროებში თვალსაჩინო ადგილზე ან თვით ქვემოდ აღნიშნულ საგნებზე მათი ღირებულება ბაჟალლო ოქროს მანეთით და კაპეიკით გამოანგარიშებული: ყოველნაირი ფქვილი (პურის, სიმინდის და სხვა), პური თეთრი, შავი-მჟავე, მჭადი და სხვა ღომის კაკალი, მზისუმზირას ზეთი, ერბო, კარაქი, ყველი და სხვა რძის ნაწარმოები, თავი და ფხვნილი შაქარი, მარილი, უბრალო საპონი, წუმწუმა, თევზები, ხორცი (ძროხის, ცხვრის, ღორის და სხვ.), ჩითი და ნავთი.

ამ დადგენილების შეუსრულებლობაში დამნაშავენი დაჯარიმებულ იქნებიან 100-დან 250 ბაჟალლოს ოქროს მანეთამდე და აგრეთვე მიეცემათ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით შინა ვაჭრობის კანონების დარღვევისათვის.

საქართველოს ს. ს. რ. შინა ვაჭ. კომისიის
თავმჯდომარე ვ. აგაქოვი
მდივანი გ. ბელქანია 2—1. 928

განცხადებები

ეტცრ ცენტრალური რაიონის სახელმწიფო ელექტრო-ტეხნიკური ტრესტი.

ტფილისის საპროექტო-სამონტაჟო განყოფილება
რუსთაველის პროსპეკტი, 19, ტელეფ. № 1—55. სატელეგრაფო მისამართი: „ეტეცერ".

ტრესტის ამოცანები და მოქმედების სფერო

ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო, დამმუშავებელ და სხვა სახის მრეწველობის ელექტროფიკაცია.

ცენტრალურ და სოფლის ელექტრონის სადგურების: ორთქლის, სითბოს და ჰიდრავლიკური სადგურების აგება.

ქვეყნის დაწესებულებებისა, წარმოებებისა და აგრეთვე კერძო პირებისათვის ელექტრო-ტეხნიკურ მრეწველობის პროდუქტების მიწოდება.

ელექტრონის სადგურების, მანქანების და ხელსაწყოების შეკეთება და ყოველგვარი სამონტაჟო სამუშაოების შესრულება.

პროექტების და ხარჯთაღრიცხვების შედგენა.

კონსულტაცია და ექსპერტიზა ელექტროტეხნიკის საკითხებზე.

განყოფილებასთან მოწყობილია მაღაზია და საბაზისო საწყობი.

საქონელის შეძენა შეუძლია კერძო პირებსაც.

ფასები საგითუმოა

მიწოდების საქმის გეგმაშეწონილ ორგანიზაციისა და სათანადო დონეზე დაყენებისათვის, სახელმწიფო დაწესებულებებს და წარმოებებს, კოოპერატიულ გაერთიანებებს და კომუნალურ მეურნეობებს ვსთხოვთ აცნობონ განყოფილებას თავის საჭიროებების შესახებ თავის დროზე.

ნ. 925 4—1.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საწყობებში,
თამამშევის ყოფ. ქარვასლის შენობაში,

მიღებულია ეკკერტის
ნამდვილი გუთნები
ყველა ზომების.
ფასები 40-დან 74 მანეთამდე.
შეძენა შეუძლია ყველას.
სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის დაწესებულია შეღავათი.

კრ. 927—2—1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებს გრძნობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—1

ექიმი
კ. გ. მართანოვი
სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართ: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 429—25—

დაიკარგა კავშირის წიგნაკი 187. ჩაითვალოს გაუქმებულად. თიკო ფოთოლაშვილი. № 609—1—1.

დაიკარგა პირადობის მოწმობა, სურათიანი უფასოთ სია[illegible] მატარებელში ტფილისიდან ერევნამდე—მოც[illegible] ამიერ-კავკასიის რკინისგზის ეკონომიური და კომერციული ნაწილის უ[illegible] სის მიერ, ლუკა ღოღობერიძის სახელზე.—ჩაითვალოს გაუქმებულად. 613—1—

დაიკარგა ბარათი სამხედრო აღრიცხვის გასვლისა № 817. [illegible] ვალოს გაუქმებულად. გიორგი ბოგველი. № 611—1—

დაიკარგა მოწმობა (АТТЕСТАТ) სამეგრელოს (ფოთის) სამო[illegible] ქო სასწავლებლის, მიღებული 1902 წ. 12 ივნისს [illegible] ჩაითვალოს გაუქმებულად. მაკარი ნიკიფორესძე ჟორჟენაძე. № 612—1

დაიკარგა საბინაო წიგნი მეცხრე კომისარიატისა, პრო[illegible] ქუჩისა, რკინისგზის ლიანდაგის გადაღმა. ჩაითვ[illegible] გაუქმებულად. სახლის პატრონი ფარადაშვილი. № 610 1—1

ვ. ი. ლენინის სახელობ.
საოპერო თეატრი
დღეს, კვირას, 2 მარტს
დაისი
ნის. 922 2—2

ქუთაისი
ფილიპე ფილიპოვის სავაჭროში
(აკაკი წერეთლის ქუჩაზე)
მიღებულია ელექტრონით განათებული ყოველგვარი მასალები გერმანიის ეკონომიური ლამპოჩკები
და იყიდება ძალიან ხელმისაწვდომ ფასებში
იგივე სავაჭრო ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას ელექტრონის მასალის და მანქანებისას სწრაფი ჩაბარებით.
კრ. 920 15—2 პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

ცარიცინის სახალხო მეურნეობის საგუბსაბჭოსთან არსებული ცარიცინის სახელმწიფო სავაჭრო გაერთიანება „ცარპაიტორგ"
ტფილისის განყოფილება: თავისუფლების მოედანი 9, ტელ. 17—17.
ცარიცინის სახელმწიფო ქარხნების პროდუქცია: ლურსმნები, მავთული, რკინეულობა ხარისხებათ დანაწილებული (СОРТОВОЕ), რკინეულობა სახურავის, რკინეულობა ნაჭრობითი (ПОЛОСОВОЕ), რკინეულობა შინის (ШИННОЕ), რკინეულობა შუზუფის (ОБРУЧНОЕ), რკ[illegible] ნეულობა ქვაბების, ბოლტები, „ზაკლიოპკები", ასფალტი, ოლიფა, [illegible] „გორჩიცა", სატყეო მასალა, ტყავის საქონელი.
ფასები შესამჩნევათ დაკლებულია.
სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერაციას განსაკუთრებული შეღავათიანი პირობები. [illegible] რწმუნ. საქარ.-ში და სომხეთში: ფ. ფ. [illegible]
ნ. 926 5—1

„ზარია ვოსტოკას" სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა № 4